პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. ა. კ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ, გ, წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 13 (864) სამშაბათი, 15 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 13 (864)

დღის [illegible]

— ოსმალეთის მთავრობამ დახურა უცხოეთის სამრეწველო ფირმები.

— ანგორის დიდი ეროვნული კრების წევრი რიზა ნური-ბეი მოსკოვში გაემგზავრა.

— პოლონეთში ძლიერდება ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი.

— დახურულდა მცირე ანტანტის სახელმწიფოების კონფერენცია.

— თეხერანში [illegible] პროცესის განხილვა.

— იტალია და [illegible] საკითხში.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტ

წინადადებას იძლევა პარასკევს, 18 იანვარს,

ერთიან პარტიულ დღეს

გაგრძელდეს განხილვა საკითხისა ეკონომიურ პოლიტიკის მორიგ ამოცანების შესახებ.

დამატებითი მასალები ამ საკითხზე დაბეჭდილი იქნება გაზ. „კომუნისტის“ უახლოეს ნომრებში.

ტ. კ. მდივანი რუბენი

დამზღვევ კასების არჩევნების გამო

ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი ოქტომბრის რევოლიუციის არის მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა, რომელიც არა ერთ ქვეყანაში, ისე არ არის მოწყობილი, როგორც საბჭოთა რესპუბლიკებში.

ბურჟუაზიულ კანონმდებლობას მუშა იმდენათ აინტერესებს, რამდენადაც ის ზედმეტ ღირებულებას ქმნის, რამდენადაც ის წარმოება-დაწესებულების მეპატრონის გამდიდრებას უწყობს ხელს. კაპიტალისტისთვის მუშა მანამდეა საჭირო, სანამ ის სავსეა ჯანღონით და შეუძლია განუწყვეტელი მუშაობა მის სასარგებლოთ. როდესაც მუშის ენერგია და ჯანღონე სუსტდება, იფიტება სამუდამოთ ან დროებით, ამის შემდეგ ის კაპიტალისტისთვის ზედმეტი გამოუსადეგარი ბარგია და მას აუარებელ სიმდიდრე - ღირებულებათა შემქნელს ულუკმა-პუროთ ისტუმრებს ქუჩაში.

მუშათა კლასი თავის კლასობრივი გამოფხიზლებისთანავე აწარმოებს ბრძოლას ამ სოციალურ უკულმართობასთან და მოითხოვს მშრომელთა უზრუნველყოფას ავადმყოფობის, მოხუცობის, ინვალიდობის და სხვა უბედურებათა დროს. ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოებში მან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შესძლო სოციალურ დაზღვევის ნაწილობრივათ გატარება.

მუშათა მოძრაობის აზვავებულ ტალღების შიშით, რომელიც წალეკას უქადის კაპიტალისტურ წესწყობილებას, ბურჟუაზია წავიდა დათმობაზე, დასთანხმდა ცოტაოდენი დახმარების მიცემაზე მუშა მოსამსახურეთათვის შრომის უნარიანობის დაკარგვის დროს.

რუსეთში მუშათა სოციალური დაზღვევის ისტორია იწყება მხოლოდ 1912 წლიდან. რასაკვირველია, მეფის მთავრობის კანონმდებლობა მიზნად არ ისახავდა მუშათა სრულ უზრუნველყოფას ავადმყოფობისა და ინვალიდობის დროს. ის მუშათა დაზღვევის მხოლოდ მოჩვენება იყო და მიზნად ისახავდა მუშათა ბრძოლის ხალისის მინელებას, მოდუნებას.

1912 წლის 23 ივნისის კანონით მუშებს დახმარება ეძლეოდათ სამუშაო ხელფასის ერთი მეოთხედიდან ორ მესამედამდე ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევის დროს და ისიც მხოლოდ იმ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდენ და, რაც უმთავრესია, დაზღვევის ფონდი, თანხების მეტი წილი თვით მუშა-მოსამსახურეთ უნდა გაეღებათ.

მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ამ ხასიათის დაზღვევასაც მოკლებული იყვენ და უბედურებისა და გაჭირვების დროს სრულებით ბედის ანაბარათ იყვენ მიტოვებულნი.

მუშათა სოციალური დაზღვევა არც საქართველოს მენშევიკური მთავრობის დროს იყო რიგიანად მოწყობილი. დამზღვევ ორგანოებში ნაქებ „დემოკრატიზმის“ დროსაც მწარმოებელ მრეწველები იყვენ წამოსკუპებული; რასაკვირველია, ისინი გასაქანს არ მისცემდენ მუშათა კლასის მოთხოვნილებებს. სრული სამუშაო ხელფასი არც მენშევიკების დროს ეძლეოდათ დაზღვეულთ; მათი რიცხვი აგრეთვე მეტად მცირე იყო, დაზღვევა სრულებით არ სწვდებოდა მუშათა იმ წრეებს, რომელთა ექსპლოატაცია უფრო მეტი სიმკაცრით, მეტი დაუნდობლობით სწარმოებდა.

ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მუშათა კლასი არ იყო ბატონ-პატრონი თავის საქმისა, რომ სოციალური დაზღვევის საკითხების გადაჭრა დამქირავებელ-მწარმოებელთა მონაწილეობით სწარმოებდა, მათ სურვილებზე იყო დამოკიდებული.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამ საკითხის, როგორც მუშათა კლასისთვის სხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა თვით მუშათა კლასს მიანდო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გაავრცელა სოციალური დაზღვევა ყოველ დაქირავებულ მშრომელზე, მიუხედავად იმისა მუშაობს ის მსხვილ, თუ წვრილ წარმოება-დაწესებულებაში, ეკუთვნის ეს წარმოება სახელმწიფოს, თუ კერძო პირს. დაზღვევის ფონდი სდგება იმ გადასახადებისაგან, რომელსაც იხდიან თვით წარმოება-დაწესებულებანი, მუშა-მოსამსახურენი სრულებით თავისუფალი არიან ამ გადასახადებისაგან. იმავე დროს დამზღვევი კასების მართვა-გამგეობა კი სრულებით მათ ხელშია.

უკანასკნელ დროს დამზღვევი კასების მუშაობა ჩვენში დიდათ გაფართოვდა, დახმარების მიმღებთა რიცხვი ათასობით ითვლება; საჭიროა დაზღვევის ფონდის გაძლიერება და მისით სარგებლობის სწორ კალაპოტში ჩაყენება. დაწესებულებათა დამზღვევი კასებისადმი დავალიანება უნდა მოისპოს. პროფკავშირები და თვითეული მათი წევრი უნდა შეეცადოს, ხელი უნდა შეუწყოს დამზღვევი კასების მუშაობის გაღონიერებას, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს იმ კამპანიაში, რომელიც იწყება მთელი საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით 15 იანვრიდან.

იწყება დამზღვევი კასების გამგეობათა არჩევნები, რომელშიაც ყოველმა მუშა-მოსამსახურემ მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს, გაერკვეს იმ ამოცანებში, რომელსაც სოციალური დაზღვევა ისახავს. დამზღვევი კასების გამგეობის შემადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ავირჩიოთ ამ გამგეობებში მხოლოდ ისეთი პირები, ვინც გულწრფელად დაინტერესებულია მშრომელთა კეთილდღეობით, ვინც შესძლებს ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთ უმთავრესი მონაპოვარის—სოციალური დაზღვევის უკეთ გატარებას.

მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა ჩვენში სწორ ნიადაგზეა დაყენებული, ის დიდი იმედი და გარანტიაა დაქირავებულთათვის ყოველგვარ უბედურებისა და გაჭირვების დროს. მის ხელმძღვანელებთან მჭიდრო კავშირის დაჭერით, დაზღვევის საკითხების ახლო გაცნობით და დამზღვევი კასების გამგეობათა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვარი—სოციალური დაზღვევა.

დროა გამოფხიზლდეთ

თავის დროს მენშევიკურმა პარტიამ მოსწამლა საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა და აგრეთვე მუშა-ახალგაზრდობის მცირე ნაწილი. მათმა მუშაობამ თავის დროზე უხვად გამოიღო ნაყოფი. მარქსიზმის ნიღაბ ქვეშ საქართველოს ახალგაზრდობა მენშევიკების ხელმძღვანელობით სწავლობდა ყველაფერს, მხოლოდ არა მარქსიზმს. და თუ ვინმემ ამ ახალგაზრდობიდან მიიღო თეორეტიული მომზადება (რასაკვირველია, მენშევიკების გადამახინჯებული მიმართულებით), პრაქტიკულად ამ ახალგაზრდობამ საბჭოთა ხელისუფლების დროს ობიექტიურად მეტად თვალსაჩინო კონტრ-რევოლიუციონური როლი ითამაშა. ჩვენ არ ვაპირებთ ბრალდების სროლას ამ ახალგაზრდობისათვის, რომელიც სავსებით იმყოფებოდა მენშევიკური პარტიის გავლენის ქვეშ და ხშირათ თავდადებულათ იბრძოდა ამ პარტიის იდეებისათვის, გულწრფელად დარწმუნებული იმაში, რომ პროლეტარიატის საქმეს აკეთებდა.

ლაპარაკია, რასაკვირველია, იმ ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა და ამიტომ მხოლოდ ეს უკანასკნელი არის ამის გამო პასუხისმგებელი. სასაცილო იქნებოდა ბრალის დადება იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც თავის დროზე ბ. ნ. რამიშვილის განკარგულებით ბ. ნ. კედიას „განსაკუთრებული რაზმის“ აქტივათ ითვლებოდა. არ შეიძლება ბრალის დადება ახალგაზრდობის იმ მცირედი ნაწილისათვისაც, რომელიც დღემდის მენშევიკური პარტიის მაჩანჩალას წარმოადგენს და არ შეერთებია ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტების“ სრულიად საქართველოს ყრილობის დადგენილებებს.

ამ წერილს ჩვენ ვწერთ ციხეში მყოფ „ახალგაზრდა მარქსისტის“ ვასო კაპანაძისაგან მიღებული წერილის მცირედი ანალიზის შემდეგ. ვასო კაპანაძესთან ხშირათ მიხდებოდა შეხვედრა ყოფ. „ახალგაზრდა მარქსისტების“ ყრილობის მოწვევის პერიოდში.

ვასო კაპანაძე ერთი იმათთაგანია, რომელიც ფიქრობს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ციხეში ჯდომით ის მუშათა კლასის ინტერესებისათვის იტანჯება.

ის წარმომადგენელია იმ ახალგაზრდობის, რომელიც არ არის გარკვეული ძველ მენშევიკურ ბელადების კლასიკურ გამცემლობაში და გულწრფელათ, ხშირად აღფრთოვანებით ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას და ვერ ხედავს იმას, რომ ობიექტიურად კონტრ-რევოლიუციონურ საქმეს აკეთებს.

მენშევიკური პარტიის კრიზისს, მის თვითლიკვიდაციას, როგორც მუშათა და გლეხთა პარტიის, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდობაზეც, რომელიც მენშევიკური პარტიის იდეურ გავლენის და პრაქტიკული ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდა.

ახალგაზრდობის ეს კრიზისი დასრულდა ყოფილ „ახალგაზრდა მარქსისტების“ ყრილობით, რომელმაც მოახდინა თავისი ორგანიზაციების ლიკვიდაცია.

ამ კრიზისს თან ახლდა შემდეგი ფაქტორები: საქართველოს სახალხო მეურნეობის თანდათანობითი (თუმცა ნელი) აღორძინება, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება, საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა, გარკვევით ჩამოყალიბებული რ. კ. პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე და პრაქტიკულად გატარებული ცხოვრებაში, თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნება და ბოლოს, მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის აშკარათ კონტრ-რევოლიუციონური ტაქტიკა სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ტაქტიკა, რომელმაც აიძულა მუშები და გლეხები ჩამოშორებოდა ამ პარტიას.

მაგრამ ყველამ ვერ გაიგო ამ ტაქტიკის დაღუპველობა და უკანასკნელ მომენტამდი სჯეროდათ მენშევიზმის „წმინდა“ პრინციპების, სჯეროდათ, რომ მენშევიკების ც. კ. აწარმოებს პოლიტიკას, რომელიც სჯობია ბოლშევიკებისას და უფრო უკეთესად მიიყვანს საქართველოს მშრომელთ სოციალიზმამდი.

„ვიტყვი მხოლოდ“,—სწერს ვ. კაპანაძე,—„რომ მუშათა კლასის მოღალატე მე არასოდეს არ ვყოფილვარ, და დარწმუნებული ვარ, არც ვიქნები“.

მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის გამოაშკარავების შემდეგ ჩვენ ვეკითხებით ვ. კაპანაძეს და სხვა „ახალგაზრდა მარქსისტებს“.

1. თქვენ მხარს უჭერდით და უჭერთ მენშევიკებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებასთან (მსოფლიოში ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას და რომელსაც ხელმძღვანელობენ მუშები და გლეხები, სახელმწიფო, რომელიც გარშემორტყმულია მსოფლიო ბურჟუაზიით) საბრძოლათ,

ა) აწყობს ბანდებს, რომ მათი მოქმედებით დაუმტკიცოს ევროპის ბურჟუაზიას საქართველოში „ანარქიის“ არსებობა,

ბ) ამზადებენ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელ პირების მკვლელობას (თვითმპყრობელობის დროს მენშევიკები ყოველთვის მასიური ტერორის წინააღმდეგი იყვენ)

გ) სისტემატიურად ამზადებენ შეიარაღებულ აჯანყებას.

დ) მოუწოდებენ ევროპის ბურჟუაზიის საქართველოში ინტერვენციისაკენ. თანხმდებიან საქართველოს ინტერვენციაზე ოსმალების მიერ (პატრიოტიზმის კლასიკური მაგალითი. ეს პირველი არ არის. გაქცევის დროს მენშევიკურმა მთავრობამ ოფიციალურად მოიწვია ოსმალეთის ჯარები, რომლებმაც კიდეც მოასწრეს ბათომში შემოსვლა)

ე) აწყობს კურსანტებით სავსე მატარებლის დამსხვრევას და სწრაფი მატარებლის გაძარცვას და სხვა.

ვ) ხოცავს ცალკე მუშებს და სხვა.

აწონ-დასწონეთ ეს ფაქტები და სერიოზული კრიტიკა გაუკეთეთ ამ პოლიტიკას. გააკეთეთ მცირეოდენი მარქსისტული ანალიზი, და გამოარკვიეთ ამ პოლიტიკის სოციალური ეკონომიური საფუძველი და თქვენთვის ნათელი შეიქნება, რომ თქვენ, ჩასდევთ რა კუდში მენშევიკებს, უდიდეს დანაშაულს ჩადიხართ მუშათა კლასის წინაშე.

მოქ. ხმალაძის გამოაშკარავებაში არის ერთი დამახასიათებელი ადგილი, რომელსაც შესაძლებელია არავინ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ეს ადგილი ყურადღების ღირსია.

„მუშების იმედი, ნოეს სიტყვით,—სწერს მოქ. ხმალაძე,—ძლიერ ცოტა იყო“.

რასაკვირველია. ხომერიკს და მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლება ჰქონოდათ მუშების იმედი თავისი ავანტიურისტული გეგმების ცხოვრებაში გატარების დროს.

საქართველოს მუშებისათვის უცხოა ეს პოლიტიკა, მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა შეეფერება მხოლოდ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო სოციალური წრეების ინტერესებს, ეს პოლიტიკა თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესებს.

და, რასაკვირველია, ეს შემთხვევითი არ არის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მენშევიკური პარტია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს პროლეტარიატის პარტიათ (ტყუილად კი არ დასტოვეს ეს პარტია თითქმის ყველა მუშებმა!).

ეს პარტია ტიპიური წარმომადგენელია წვრილი ბურჟუაზიის, ქალაქის მეჩარჩების და სოფლის „კულაკების“.

გაუკეთეთ მკაცრი კრიტიკა ამ პარტიის პოლიტიკას მისი ბატონობის პერიოდში საქართველოში და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს.

თუ თქვენ ოდნავ მაინც შეგიძლიათ მარქსიზმის იარაღის გამოყენება, თქვენ დაინახავთ რა ჭაობში მოექცით მენშევიკური პარტიის კუდში ჩანჩალით.

დროა გამოფხიზლდეთ ბ-ნო კაპანაძე! დროა ყველა იმათ, ვისაც ბრმათ სჯეროდა მენშევიზმის ხელმძღვანელების, ჯამი გაუკეთონ მენშევიზმის დამღუპველ პოლიტიკას და დადგენ სოციალიზმისათვის ბრძოლის სწორ გზაზე, რომლითაც მიდის კომუნისტური პარტია და მიჰყავს მილიონი მშრომელები.

რუბენ.

გონებრივი შრომის შესწავლა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

გონებრივი შრომის რაციონალიზაციის საკითხები აქამდის სრულებით არ იყო დასმული და არავინ მის შესწავლას არ ცდილა. არ არსებობს გონებრივი შრომის განსაზღვრული მეთოდები. თვითეული იწევა გონებრივ მუშაობას ინდივიდუალური წესებით. წარმოების ტეხნიკაზე გონებრივი შრომის ტეხნიკა ძლიერ დაცილებულია, გონებრივი შრომის ტეხნიკა ახლანდელ მანქანურ წარმოებასთან შედარებით წარმოადგენს წვრილ ხელოსნურ ხასიათის მუშაობას. მეცნიერული მუშაობა სწარმოებს ინდივიდუალურათ, ცალ-ცალკე და მათ არაფერი არ აერთიანებს.

პირველი ცდები გონებრივი შრომის შესწავლისა იწყება მოსკოვში. მოსკოვის ერთმა საზოგადოებამ ევრეთ წოდებულს „Октябрь мысли“, რომელიც აერთიანებს სტუდენტების სამეცნიერო ჯგუფებს, დაისახა ამ პრობლემის გადაწყვეტა. გამოყოფილი იქნა განსაკუთრებით გონებრივ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სექცია. სექციის მუშაობა მიმართულია ინდივიდუალური და კოლექტიური გონებრივი შრომის შესწავლისკენ. სექცია დაყოფილია რამოდენიმე ნაწილათ და თვითეულ ნაწილს აქვს აღებული ამ საერთო საკითხის ცალკე მხარეები, როგორც მაგალითად: გონებრივი შრომის ფსიხო-ფიზიოლოგია და ჰიგიენა (მუშაობა და დასვენება); გონებრივი შრომის ტეხნიკა, მეთოდები და მექანიზაცია (ნაწარმოების წაკითხვა, დახსოვრება, ამონაწერები, სისტემატიზაცია, გამოყენება და სხვა.); ენა (წინადადების შედგენა და მონტაჟი ადვილათ გაგების მხრივ).

გონებრივი შრომის შესწავლა და მისი რაციონალიზაცია პირველი ცდა არის, არა მარტო მოსკოვისათვის. ამ მხრივ მუშაობა არ წარმოებულა არც ევროპაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომერციულ კანტორებში შრომის რაციონალიზაციის მეცნიერულად დაყენებას. არც ლიტერატურა არსებობს ამ საკითხების შესახებ. მხოლოდ 1921 წელს გერმანიაში გამოვიდა ფილოსოფიის პროფესორის ფრ. კუნცეს წიგნაკი „გონებრივი შრომის ტეხნიკა“. ეს წიგნი გადმოთარგმნილია რუსულ ენაზე და რამოდენიმე ხნის წინათ უკვე გამოვიდა. პროფ. კუნცე ისახავს ამ წიგნში ამოცანათ, თუ როგორ უნდა იქნას შეთვისებული წაკითხული მთლიანად, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული წაკითხული და როგორ უნდა იქნეს დაყენებული გონებრივი წარმოების ტეხნიკა.

„ჩვენ ბევრს ვკითხულობთ, ბევრ ნაშრომს ვეცნობით, ბევრს ვითვისებთ, მაგრამ როცა გვინდა დავწეროთ თუნდაც პატარა წერილი რაიმე საკითხის შესახებ და საჭიროა მითითება რომელიმე შრომაზე (ციტატაზე ზედმეტია ლაპარაკი), იწყება ძებნა თავიდან: გვავიწყდება არა მარტო აზრის სწორი შინაარსი, არამედ აღარც გვახსოვს თუ სად შეგვხვდა ის. ყოველ თვითეულ საკითხზე იმზადები თავიდანვე. წარსული წაკითხვა და გაცნობა კი იკარგება სრულებით“, ამბობს შესავალში წიგნის რედაქტორი.

ლან—ძე.

კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ვერაგულად მოკვლის ხუთი წლის თავზე

კარლ ლიბკნეხტი.

როზა ლუქსემბურგი.

დღეს ხუთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც გერმანიის სოციალ-გამცემელთა ლოცვა კურთხევით ჯალათებმა ქურდულათ და გაუსამართლებლათ ტყვიით განგმირეს პროლეტარიატის საქმისთვის თავდადებული მებრძოლები: კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

საერთაშორისო მენშევიზმის გამცემლობა, გათახსირება ამ ფაქტის შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქმნა; ამიერიდან ის, ნიღბ ახსნილი, უსირცხვილოთ იწყებს მუშათა კლასის და მის ბელადთა სისხლის ნაკადულში ცურაობას.

ჩვენს დროში ეს აღარავის აკვირვებს. ხუთი წლის წინად კი, ბევრისთვის კიდევ დაუჯერებელი და საეჭვო იყო სოციალ-დემოკრატიის რეაქციონურ ბანაკში მუშაობა. ლიბკნეხტის და ლიუქსემბურგის ვერაგულმა მკვლელობამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ის ფაქტი, რომ საერთაშორისო მენშევიზმმა და მისმა ქებულმა რაზმმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ თავს იდვეს პროლეტარიატის საქმისთვის მებრძოლთა ჯალათობა, სოციალისტური რევოლიუციის სისხლში ჩაღრჩობა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ მონაწილეობა მიიღო 1914 წ. დაწყებულ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტაში; პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის, გაერთიანების ნაცვლად მან ხელი შეუწყო ერთი ქვეყნის პროლეტართა და მშრომელთა მიერ მეორე ქვეყნის მშრომელთა ხოცვა-ჟლეტას საერთაშორისო კაპიტალის სასაკლაოზე. გერმანიაში მხოლოდ ლიბკნეხტმა და მისმა პატარა ჯგუფმა იდვა თავს „ომისათვის ომის გამოცხადება“, და სოციალ-დემოკრატთა გამყიდველობის გამომჟღავნება, რისთვისაც ლიბკნეხტი ციხის საკანში იქნა გამომწყვდეული.

დასრულდა საერთაშორისო ომი, მოხდა გერმანიაში რევოლიუცია, ლიბკნეხტიც გამოდის ციხიდან და იწყებს შეუპოვარ, უთანასწორო ბრძოლას გერმანიის ბურჟუაზიისა და სოციალ-გამყიდველთა წინააღმდეგ. ის როზა ლიუქსემბურგთან და კლარა ცეტკინთან ერთად გამოეყო სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, დააარსა „სპარტაკი“-ს ჯგუფი, რომელმაც დასაწყისი მისცა ჩვენ დროში უკვე გაძლიერებულ გერმანიის კომუნისტურ პარტიას.

1918 წლის დასაწყისში გერმანიის სოციალისტურმა უმრავლესობამ განიზრახა ძალაუფლების დამფუძნებელი კრებისთვის გადაცემა, რის წინააღმდეგაც სასტიკათ გაილაშქრეს კომუნისტებმა ლიბკნეხტის მეთაურობით და „დამოუკიდებელთა“ დახმარებით. 6 იანვარს ბერლინში მათ მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია, შეეცადენ რეფორმისტული მთავრობის ჩამოგდებას და მთელი ძალა უფლების საბჭოებისთვის გადაცემას. გერმანიის იმდროინდელ რეაქციონურ ძალების მეთაურმა, სოციალ-დემოკრატმა ნოსკემ შავრაზმელ ოფიცერთა დახმარებით შესძლო ამ აჯანყების ცეცხლით და მახვილით ჩაქრობა.

აჯანყების მეთაურთ ატუსაღებენ და მათ ბნელ საკანში ამწყვდევენ; მათ შორის როზა ლიუქსემბურგს და კარლ ლიბკნეხტსაც, რომელიც ციხიდან სწერს თავის ამხანაგებს: „თქვენ გეუბნებიან, ჯერ ადრეა, ნუ ჩქარობთ, მსხვერპლს ნუ გაიღებთ; ის უაზრო და უდროოა, მაგრამ თქვენ კლასობრივი თვითშეგნებით უნდა შეხედოთ ამ მოღალატეთა საზიზღარ საქმეს და გაიმეორეთ კიდევ და კიდევ ერთი აზრი: „მსხვერპლსაც გავიღებთ, კიდეც ვიბრძოლებთ და მიზანსაც მივაღწევთ“.

ჯალათებმა არ დააცალეს კარლ ლიბკნეხტს და მის ერთგულ თანამებრძოლ როზა ლიუქსემბურგს მიზნის მიღწევა, გერმანიის მუშათა კლასის გამარჯვება. მათი უმანკო სისხლი ვერაგულათ, ქურდულათ დაანთხიეს ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაში. მკვლელებმა გასამართლებაც არ ღირსეს მუშათა კლასისათვის თავდადებულ საუკეთესო მებრძოლებს“.

მაგრამ პროლეტარიატს მსხვერპლის არ ეშინია, ის მას არ გაურბის; პირიქით, ყოველი მსხვერპლი კიდევ უფრო მეტად აღვივებს მასში ბრძოლის წყურვილს, ამზადებს მას მთელი ძველი ბურჟუაზიული ქვეყნის წასალეკათ ყოველგვარი მისი ნაშთებით.

1918 წლის იანვრის აჯანყება დაამარცხეს გერმანიის სოციალ-გამცემლებმა და ფაშისტებმა, მის მეთაურთა გული ტყვიით განგმირეს, მაგრამ ვერ მოკლეს მათი ძლევამოსილი იდეები, ვერ მოსპეს გერმანიის კომუნისტური პარტია, რომელიც, მიუხედავათ სასტიკი დევნისა და წამებისა, დღითი დღე ძლიერდება. კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის წამების შემდეგ გერმანიის ბურჟუაზიამ პროლეტარიატისთვის მრავალი კიდევ თავდადებული მებრძოლი აწამა და შესძლო დროებით თავის ხელში ძალაუფლების შერჩენა სოციალ-დემოკრატიის ერთგული დახმარებით. გერმანიის პროლეტარიატმა ამ ხნის განმავლობაში საკმაო გამოცდილება მიიღო და, მიუხედავად განვლილ დამარცხებათა, იარაღი მას არ დაუყრია და კომპარტიის ხელმძღვანელობით ის შესძლებს ლიბკნეხტის ლოზუნგის მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისთვის გადაცემას.

თავის დამარცხების და თავის ბელადთა წამების ხუთი წლის თავზე ის, საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად, გადახედავს თავის წარსულს, ჯამს გაუკეთებს მიღწეულ შედეგებს და მოემზადება ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

ინგლისი „მუშათა მთავრობის“ მოლოდინში

ახალი მთავრობის ძებნაში: ახალი მთავრობის ძებნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ბურჟუაზიულმა ახალგაზრდობამ დააარსა კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმთან ბრძოლას.

მუშათა პარტიაში: გამოირკვა, რომ მუშათა მთავრობა არ წამოაყენებს საკითხს ნაციონალიზაციის და კაპიტალის დაბეგვრის შესახებ; მისი მთავარი მიზანი იქნება აქტიური საგარეო პოლიტიკა

ინგლისის ამბების გამოძახილი: ბურჟუაზიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ მუშათა მთავრობის დროს სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ინგლისის კაპიტალისტური წესწყობილებაო.

ახალი მთავრობის ძებნაში

საჭირო არ არის

ლონდონი. 12 იანვ. ლიბერალურ ამრჩეველთა ერთმა ჯგუფმა პროტესტი განაცხადა ლიბერალურ ფრაქციის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახვა აქვს ხმა მისცეს ბალდვინის წინააღმდეგ მიმართულ შესწორებას; ამის საპასუხოდ ასკვიტმა განაცხადა, რომ არ არის საჭირო შეცვლილ იქნეს მის მიერ ამასწინად წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნული მოქმედების ხაზი

კონსერვატორები დათმობაზე მიდიან.

ლონდონი. 12 იანვ. გაცხარებული კამათის შემდეგ ბალდვინის მთავრობამ საბოლოოთ გადასწყვიტა, რომ სეფე-სიტყვაში არაფერი არ სთქვას პროტექციონისტულ პოლიტიკის შესახებ; მთავრობა დაკმაყოფილდება მხოლოდ განცხადებით იმის შესახებ, რომ აუცილებელია ანგარიში გაეწიოს საიმპერიო კონფერენციის დადგენილებას კოლონიების შესახებ ხმების მიხედვით, კაბინეტის დადგენილებას წინ უძღოდა არაოფიციალური თათბირი კონსერვატორთა და მუშათა პარტიის ბელადებთან. სეფე-სიტყვაში მთავრობის საშინაო პოლიტიკა აღნიშნული იქნება აგრეთვე ზომიერ ტონით, რაც ამტკიცებს იმას, რომ კონსერვატორები დიდ დათმობაზე მიდიან.

მუშათა პარტიაში

მაკდონალდის წერილი რენოდელს.

ლონდონი. 14 იანვ. გაზეთ „პტი პროვანსალ“-ში გამოქვეყნებულია მაკდონალდის წერილი რენოდელისადმი, რომელშიაც მუშათა პარტიის ლიდერი იმედს გამოსთქვამს, რომ საფრანგეთის ხალხი მეგობრულ თანამშრომლობას გაუწევს ბრიტანეთის ხალხს ევროპის გადახალისების საქმეში. დასკვნაში მაკდონალდი უკმაყოფილებას გამოსთქვამს შეიარაღების გაძლიერების გამო.

პარიზი. 14 იანვ. მაკდონალდმა რეიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ მისი წერილი რენოდელის მიმართ არ იყო პრესისათვის დანიშნული, მაგრამ „წერილის მიმღები“ სავსებით სისწორით მოექცა მის აზრებს. ამას მან დასძინა: „ჩემი სურვილია საფრანგეთთან მეგობრობა. დეე, ორივე მხარემ გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რათა დახმარება გაუწიოს ერთი მეორეს მძიმე ბრძოლაში“.

პროგრამა-მინიმუმი.

ლონდონი. 12 იანვარი. მიტინგზე მუშათა პარტიის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა, რომ მაკდონალდთან საუბრიდან მან ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანა, რომ მუშათა მთავრობა არ წამოაყენებს საკითხებს ნაციონალიზაციის და კაპიტალის დაბეგვრის შესახებ, ის დაკმაყოფილდება მხოლოდ აქტიური პოლიტიკით უშიშროების საკითხში და საერთაშორისო დამოკიდებულებათა სფეროში. უკანასკნელში მუშათა მთავრობის პირველი აქტი იქნება საბჭოთა მთავრობის ცნობა.

მაკდონალდის „გასაჭირი“

ლორდს ეძებენ.

ლონდონი. 12 იანვარი. ინგლისის პარლამენტარული ტრადიცია მოითხოვს, რომ ექვს მთავარ მინისტრიდან (გარეშე საქმეთა მინისტრი, შინაგან საქმეთა, კოლონიების, სამხედრო, ინდოეთის საქმეების და საზღვაო დეპარტამენტის მინისტრები) თემთა პალატის წევრები უნდა იყვენ არა უმეტეს ხუთისა, მეექვსე კი უნდა იყოს ლორდთა პალატის წევრი. ლორდთა პალატაში მუშათა წარმომადგენლების უყოლობა ამოუწურავი თემაა გაზეთებისათვის. მაკდონალდმა ან უნდა ეძიოს რომელიმე ლორდი მინისტრის თანამდებობისათვის ან უნდა დაარღვიოს ტრადიცია. „ტაიმს“-ი წინადადებას იძლევა მიეცეს სიდნეი ვებს პერის ხარისხი.

ინგლისის ამბების გამოძახილი

ორგანიზაციული ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ.

ლონდონი. 12 იანვარი. პრესის ცნობების თანახმად, ინგლისის ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა დააარსა კონსტიტუციონური ასოციაცია, რომლის მიზანია მოახერხოს ლიბერალების გაერთიანება კონსერვატორებთან ერთ კონსტიტუციონურ პარტიაში სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ. აღნიშნავენ, რომ ასოციაციაში ირიცხება 5.000 წევრი. საერთოდ კონსერვატორები ითმენენ მუშათა პარტიის პოლიტიკას.

საქმიან წრეების მდგომარეობა.

ლონდონი. 12 იანვარი. „მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის სტერლინგის დაცემა რომის ბირჟაზე აიხსნება საქმიან წრეების აღელვებით, რომელიც დაკავშირებულია მუშათა პარტიის შემოსვლასთან ინგლისში.

„ფინანშელ ნიუზ“-ი აღნიშნავს, რომ ინგლისის კაპიტალისტურ სისტემას არაფერი არ ემუქრება იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მომავალ არჩევნებში მუშათა პარტია მიიღებს აბსოლიუტურ უმრავლესობას

ინგლისის მაღაროების მუშების მოთხოვნილება.

ლონდონი. 12 იანვარი. სამხრეთ უელსის მაღაროების მუშების უმრავლესობა მოითხოვს მწარმოებლებთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევას. ასეთივე განწყობილებაა სამხრეთ შოტლანდიის მაღაროების მუშებშიც.

საფრანგეთს ეშინია კონტრიბუციის დაკარგვის.

პარიზი. 11 იანვარი. ინგლისის პოლიტიკური კრიზისი აღელვებს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს. „ეკო ნაციონალი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კონსერვატორებს ეშინიათ ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობის, რადგან მუშათა პარტიის ბელადებს განზრახვა აქვთ გაილაშქრონ ვერსალის ხელშეკრულების წინააღმდეგ და დაარღვიონ საფრანგეთის უფლებები რეპარაციაზე.

გერმანიის მუშების ბრძოლა

გილზენკირხენის ლითონზე მომუშავეებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს. მუშებსა და პოლიციას შორის შეტაკებები ხდება.

ლიუბეკში უმუშევრები შეიჭრნენ რესტორანებში და გამორეკეს იქ მოქეიფე ხალხი.

დაპყრობილ ოლქებში მუშების ბრძოლა 10 საათის სამუშაო დღის დასაცავად და შრომის ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, თანდათანობით მწვავე ხასიათს იღებს: გაგენში დაითხოვეს 16 000 მუშა. ბოხუმში გაფიცულია 25.000 კაცი, ბელგიის ჯარის სარდლობა მწარმოებლებს უჭერს მხარს.

ბერლინის პოლიგრაფიული მუშების მოძრაობა დამარცხდა პროფკავშირების ყვითელი ბელადების მოღალატეობის გამო.

შუა-გერმანიის ქვანახშირის რაიონში გაფიცულია 100,000 მუშა.

გერმანიის მთავრობამ წაართვა სახელმწიფოს დახმარება იმ უმუშევრებს, რომლებიც უარს აცხადებენ იმ წარმოებებში მუშაობაზე, სადაც 10 საათის სამუშაო დღეა შემოღებული

შეტაკება ჰამბურგში

ბერლინი. 14 იანვარი. კვირას ჰამბურგში დააპატიმრეს კომპარტიის ლიდერი ურბახი, რომელიც გამოვიდა სიტყვით მთავრობის მიერ აკრძალულ კრებაზე. მოხდა არეულობა. პოლიციამ იარაღს მიმართა მოკლულია ერთი, დაიჭრა ორი კომუნისტი.

მუშათა მოძრაობა

როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მოკვლის ხუთი წლის თავი.

ბერლინი 12 იანვარი. „გერმანიის თავისუფალი აქტიური ახალგაზრდობა", კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის სიკვდილიდან ხუთი წლის თავის შესრულების გამო, კვირას იწვევს ყველა თავის წევრების კრებას. პოლიციის მთავარმა სამმართველომ გამოაქვეყნა ცნობა კრების აკრძალვის შესახებ; პოლიცია იმუქრება რეპრესიული ზომების მიღებით, რადგან მისი აზრით, კრებაზე წარმოდგენილი იქნება მხოლოდ კომუნისტური ახალგაზრდობა.

კომუნისტები საარჩევნო კამპანიაში.

ბერლინი. 12 იანვარი. კომპარტიას დიდის წარმატებით მიჰყავს საარჩევნო კამპანია მეკლენბურგში. კომპარტიის მიერ მოწყობილ კრებებს ესწრება ფართო მასები. კომუნისტური საარჩევნო ბლოკი სცემს თავის ორგანოს „ფოლკოვახ"-ს. გომბორნში და ჰელზენკირხენში მელითონეთა კავშირის ადგილობრივ კომიტეტების არჩევნებში ხმების უმრავლესობა მიიღო კომუნისტების სიამ.

ბრძოლა ხელფასისათვის

ომის წინანდელი სამუშაო დრო.

ბერლინი. 12 იანვარი. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შუა-გერმანიის სანახშირო მრეწველობაში შემოღებული იქნება ომის წინანდელი სამუშაო დრო. ამავე დროს მწარმოებლები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას. მემაღაროებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 100,000 მუშა. მწარმოებლები მასიურად ითხოვენ მუშებს.

კონფლიქტები პოლიგრაფიულ მრეწველობაში.

ბერლინი. 12 იანვარი. ბერლინის პოლიგრაფიულ მრეწველობაში კონფლიქტი შეთანხმებით დამთავრდა, მბეჭდავების პროფკავშირებმა დაამტკიცეს ხელით მომუშავე ასოთ-ამწყობთათვის 53 საათის სამუშაო კვირა, ხოლო მანქანაზე მომუშავეთათვის—51 საათი. „როტე ფანე" ამის გამო აღნიშნავს: „ყოველგან—რურიდან ზემო სილეზიამდე—მუშები გააფთრებით იბრძვიან 8 საათის სამუშაო დღისათვის, პროფკავშირები კი ღალატობენ მუშათა ინტერესებს".

გაფიცულ მელითონეების დევნა.

ბერლინი. 12 იანვარი. ბერლინში ლითონის მრეწველობაში სასტიკად სდევნიან მუშებს, რომლებიც აქტიურად გამოდიან სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ. ორენშტეინის წარმოებებში დაითხოვეს 100 მუშა, „ელექტრონის საყოველთაო კომპანიის" წარმოებებში 250 მუშა სხვა წარმოებებშიაც ხდება დათხოვნა. პირველ რიგში ითხოვენ კომუნისტებს და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წევრებს. მოაბიტის ოლქში მცხოვრებლებმა დათხოვნილ მელითონეების სასარგებლოდ შეაგროვეს პური; პურის დარიგების დროს გამოჩნდა პოლიცია და გარეკა შეკრებილები.

გერმანიის საერთო მდგომარეობა

„ეკონომია"

ბერლინი. 13 იანვარი. 50.000 მოხელეს დაითხოვენ გერმანიის მთავრობა მოელის ყოველწლიურათ 80.000.000 მარკის ეკონომიას ოქროთი.

დაპყრობილ ოლქებში

მუშების ბრძოლა

ბერლინი. 12 იანვარი. რეინის ვესტფალიაში გრძელდება მელითონეების ბრძოლა. ქრისტიანულ კავშირების მომხრე მუშებმა, პროფკავშირთა ლიდერების პროტესტების მიუხედავად, გადასწყვიტეს საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ. გაგენში დაითხოვეს 16,000 მელითონე. ზოლინგენში მელითონეებმა გადასწყვიტეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. მიუნხენში და გლადბახში ლითონის მრეწველობის წარმოების უმეტესობა დახურულია. ბოხუმში გაფიცულია 25.000 მუშა. დიუსელდორფის ნავთსადგურში ტრანსპორტის მუშებმა ჩასძირეს ნახშირით დატვირთული გემი გამოწვეულ პოლიციას მუშები შეხვდნენ ხელით სასროლი ყუმბარებით. კელნის ოლქში მუშებმა დაიკავეს სტინესის და ტისენის წარმოებები, შტრეიკბრეხერების განდევნის მიზნით.

საფრანგეთის სარდლობას მუშების მოძრაობაში ნეიტრალური პოზიცია უჭირავს.

ბელგიის ხელისუფლება მხარს უჭერს მწარმოებლებს რეინგაუზენში ბელგიელებმა დააპატიმრეს საგაფიცვო კომიტეტი და აკრძალეს კრებები, რომლებზედაც ირჩეოდა სამუშაო დროის საკითხი. მთელი ბურჟუაზიული პრესა მღელვარებით ადევნებს თვალყურს მუშათა მოძრაობას დაკავებულ ოლქებში.

ოკუპაციის შედეგები

ცნობები

რომი. 14 იანვარი. ბერლინის გაზეთებს მოჰყავთ ცნობები ოკუპაციის შედეგების შესახებ. ოკუპაციის პირველ ცხრა თვის განმავლობაში, პროდუქციის დაცემის გამო გამოწვეული გერმანიის მრეწველობის ზარალი გამოიხატება 1,620 მილ. ოქროს მარკაში. გერმანიის მრეწველობის სხვა ზარალი, რომელიც დაკავშირებულია შექმნილ მდგომარეობასთან, გამოიხატება 700—900 მილ. ოქროს მარკაში. საერთო ზარალი უდრის დაახლოვებით 4 მილიარდ ოქროს მარკას. გაზეთებს მოჰყავთ ცნობები აგრეთვე ოკუპაციის სხვა შედეგების შესახებ: საოკუპაციო ჯარების მიერ მიღებულ ღონისძიებების გამო მოკლულია 140, კაცი; გადასახლებული 40,000 კაცი; ციხეში ზის აქამდის 2.000 კ. დახურულია ასამდი სკოლა, რომლებშიაც სწავლობდა 100 000 ბავშვი და სხვა.

სეპარატისტული მოძრაობა

საფრანგეთი და ბელგია აქეზებდენ პფალცის სეპარატისტებს.

ბერლინი 12 იანვ. ინგლისის პრესა საფრანგეთის და ბელგიის ხელისუფლებს სთვლის პასუხისმგებელად პფალცის ამბებისათვის და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის და ბელგიის წარმომადგენლება მოკავშირეთა რეინის კომისიაში დაამტკიცეს პფალცის სეპარატისტულ მთავრობის დეკრეტები, ხოლო ეს უდრის იმ მთავრობის ცნობას, რომლის წინააღმდეგ ინგლისი ყოველთვის ილაშქრებდა. „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ ყოვლად შეუძლებელია პფალცის სეპარატისტულ მთავრობის ცნობა.

ინგლისსა და საფრანგეთს შორის სწარმოებს მოლაპარაკება პფალცის ამბების გამოძიების შესახებ, რასაც დაჟინებით მოითხოვს ინგლისის მთავრობა.

გერმანიის ამბების გამოძახილი

გერმანიის მთავრობის პროტესტი.

ბერლინი. 12 იანვარი. საიმპერიო მთავრობამ პარასკევს თავის წარმომადგენლების საშუალებით პროტესტი განაცხადა სეპარატისტების გამოსვლის და სეპარატისტულ მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტების ცნობის წინააღმდეგ.

ბელგიის პასუხი.

პარიზი. 12 იანვარი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ჟასპარმა გადასცა გერმანიის საქმეთა რწმუნებულს ბელგიის პასუხი, რომელშიაც ბელგიის მთავრობა რურში რენტენბანკის ემისიის დაშვებას უკავშირებს გერმანიის მთავრობის პოზიციის შეცვლას რეინ-ვესტფალიის ბანკის მიმართ. ბელგია აუქმებს იმ დაბრკოლებებს, რომელნიც ხელს უშლიდენ ნაოსნობას რეინზე, მაგრამ სტოვებს საბაჟო კორდონს, იცავს გერმანელთა სამოქალაქო უფლებებს იმ პირობით, თუ ისინი პირნათლათ შეასრულებენ თავის ვალდებულებებს საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ.

ბავარიის მეამბოხეთა საქმე.

ბერლინი. 12 იანვარი. სახელმწიფო პროკურორმა მიუნხენში პასუხისგებაში მისცა ფორმალურათ ჰიტლერი, ლიუდენდორფი და სხვა მეამბოხეები, რომელთაც ბრალათ ედებათ სახელმწიფო ღალატი.

საფრანგეთის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე.

ბერლინი. 12 იანვარი. დღეს მოსალოდნელია საფრანგეთის პასუხის გადაცემა გერმანიის წინადადებაზე. საფრანგეთის პრესის ცნობით, საფრანგეთის მთავრობა საპასუხო ნოტაში ხაზს უსვამს სარეპარაციო საკითხის მთლიანად განხილვის აუცილებლობას. ამის გამო გამოქვეყნებული გერმანიის ოფიციალური ცნობა აცხადებს, რომ გერმანიის მთავრობაც თანახმაა განხილულ იქნეს არა მარტო რეინის და რურის საკითხები, არამედ აგრეთვე სხვა ძირითადი საკითხებიც. ცნობაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ინჟინერთა კომისიასთან დადებულ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შეუძლებელია გერმანიისათვის სესხის მიცემის გარეშე. მეორე მხრით, უცხოეთის სახელმწიფოები ვერ მისცემენ კრედიტს გერმანიას, სანამ არ იქნება აღდგენილი გერმანიის სუვერენიტეტი დაკავებულ ოლქებში.

სტინესის განცხადების გამო.

ბერლინი, 12 იანვარი. „ფოსიშე ცეიტუნგი"-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტინესის მიერ ვისბადენის შეთანხმების ცნობა ნიშნავს სარეპარაციო ვალის დიდის ნაწილის მიწოდების გზით დაფარვის შესაძლებლობის ცნობასაც.

იერიშები თოვლის გუნდებით.

ბერლინი. 14 იანვარი. მოკავშირეთა საკონტროლო სამხედრო კომისიამ განაახლა მოქმედება ბერლინსა, მიუნხენსა, ფრანკფურტსა, როსტოკსა, ბრესლავლსა და დრეზდენში. დღემდის არავითარ ექსცესებს ადგილი არ ჰქონია, მხოლოდ ბერლინში საკონტროლო კომისიის ოფიცრებს თოვლის გუნდები დაუშინეს.

სტინეს-საფრანგეთ გერმანიის შეთანხმების შესახებ.

პარიზი. 12 იანვარი. „ჟურნალ დედება" აქვეყნებს საუბარს სტინესთან საფრანგეთ გერმანიის ურთიერთობის მოგვარების შესახებ. სტინესი ფიქრობს, რომ სარეპარაციო გადასახადების დაფარვა შეიძლება მხოლოდ ნატურით მიწოდების საშუალებით, რომლის წლიური რაოდენობა უნდა განსაზღვრულ იქნეს საფრანგეთის და გერმანიის მთავრობების მიერ. სტინესის აზრით, საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება იქნებოდა ფაქტორი, რომელიც შესაძლებლად გახდიდა ამერიკის დახმარებას.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

მცირე ანტანტის სახელმწიფოების კონფერენციაზე ჩეხო-სლოვაკიის პრემიერმა ბენეშმა შეიტანა წინადადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

საფრანგეთი: სენატორმა დე-მონზიმ აცნობა სენატის რადიკალურ-დემოკრატიულ ჯგუფს, რომ მას განზრახული აქვს გამოვიდეს სენატში შეკითხვით მთავრობის პოლიტიკის შესახებ რუსეთის მიმართ.

შვეცია: მთავრობის სიტყვაში შვეციის პარლამენტის საზეიმო სხდომაზე გამოთქმულია იმედი, რომ რუსეთ-შვეციის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, წარმატებით დამთავრდებაო.

ნორვეგია: ნორვეგიაში ძლიერდება აგიტაცია საბჭოთა კავშირის დე-იურე ცნობის სასარგებლოთ.

ამერიკა: სენატორმა ლოჯმა, კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს სენ. ბორას რეზოლიუცია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ, მთავრობის მომხრეებისაგან შეადგინა.

იტალიაში

რუსეთ-იტალიის სავაჭრო ურთიერთობა.

რომი. 14 იანვ. გარეშე საქმეთა სამინისტროს სასახლეში გაიმართა ვაჭრობის, მრეწველობის და ფინანსთა წარმომადგენლების თათბირი, სენატორ კონტარინის თავმჯდომარეობით. თათბირი ეხებოდა საბჭოთა კავშირის და იტალიის სავაჭრო ურთიერთობის საკითხს. თათბირი შეჩერდა მთელ რიგ საკითხებზე, რომელიც აინტერესებს ორთავე მხარეს: საზღვაო და ხმელეთის ტრანსპორტი, ნახშირი, მარცვლეული, ემიგრაცია და სხვა.

გამოირკვა, რომ მოლაპარაკება ორთავე სახელმწიფოს შორის სასურველათ მიმდინარეობს და ახლო მომავალში მოგვცემს დადებით შედეგებს.

ნორვეგიაში

საჭიროება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დაჭერა.

ქრისტიანია 12 იანვ. ნორვეგიის სასურსათო უწყების დირექტორი პედერსონი პრესაში გამოქვეყნებულ წერილში ხაზს უსვამს საბჭოთა რუსეთის დე-იურედ ცნობის აუცილებლობას. ოლეზუნდის მეზღვაურთა კავშირი გამოტანილ რეზოლიუციაში მოითხოვს ნორვეგიის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობას იმ შემთხვევაში, თუ მოწესრიგებული იქნება საკითხი თევზის მრეწველობის შესახებ.

საფრანგეთში

პოლიტიკური ხაზი საბჭოთა კავშირის მიმართ.

პარიზი. 12 იანვარი დე-მონზიმ აცნობა სენატის რადიკალ-დემოკრატიულ ჯგუფს, რომ მას განზრახული აქვს შეკითხვა შეიტანოს სენატში რუსეთის მიმართ მთავრობის პოლიტიკურ ხაზის შესახებ. ჯგუფმა დაადგინა მოისმინოს დე-მონზის დადგენილება და შემდეგ ჯგუფის გადაწყვეტილების მიხედვით დაავალოს მას გამოვიდეს სენატში პერსონალურად ან მთელი ჯგუფის სახელით.

შვეციაში

რუსეთ შვეციის ხელშეკრულებისათვის.

სტოკჰოლმი. 12 იანვარი. მეფის სიტყვაში შვეციის პარლამენტის საზეიმო გახსნის დროს ლაპარაკია საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების და სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ და გამოთქმულია იმედი, რომ მიღწეული იქნება ორივე სახელმწიფოსათვის სასურველი შედეგები.

პარლამენტის კომფრაქციის თავმჯდომარედ ხელახლა არჩეული იქნა ჩილბუმი. პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომაზე ბრანტინგმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ, მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებმა უკვე დასდვეს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან, შვეცია იგვიანებსო. მდგომარეობა შეიცვლებოდაო, სთქვა ბრანტინგმა, თუ ჯერ კიდევ შარშან პარლამენტი მიიღებდა სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის პროექტს შვეცია იქნებოდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც რუსეთი იცნო.

ამერიკაში

„მიუდგომელი" კომისია.

ნიუ-იორკი. 12 იანვარი. როგორც მოსალოდნელი იყო, კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს სენატორ ბორას რეზოლიუცია საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოთ, ლოჯმა მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის მომხრეებისაგან შეადგინა. კომისიაში შევიდნენ სენატორები ლენარუტი, პეპერი, ჰიტმანი და სვანსონი

მცირე ანტანტაში

ბენეშის აზრი.

პრაგა. 12 იანვარი. მცირე ანტანტის კონფერენციის გახსნის დღეს მილიერანმა კონფერენციას გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა. დეპეშაში მილიერანი ურჩევს კონფერენციას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საზავო ხელშეკრულებას ასრულებენ.

კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე ბენეშმა, აღნიშნა რა რუსეთის ცდა ყველა ერებთან დასაახლოებლად, განაცხადა, რომ მცირე ანტანტამ უნდა განაახლოს ურთიერთობა რუსეთთან, რადგან ამ საკითხის მოგვარების დაყოვნება, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, მცირე ანტანტის სახელმწიფოებს განცალკევებით ემუქრებაო.

ჩეხო-სლოვაკია

პრაგა. 12 იანვარი. აგრარული პარტიის ორგანო გაზეთი „ვენკოფ" მიუთითებს, რომ ჩეხო-სლოვაკია უნდა შეიქნეს მთავარი კონტრაგენტი საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დასავლეთ ევროპასთან.

გაზეთის აზრით, სწორედ ამას მოელის ჩეხოსლოვაკიისაგან საფრანგეთი.

კლერიკალური გაზეთი „ლიუდოვი ლისტი" საჭიროთ სთვლის შეთანხმებას რუსეთთან, რათა ამ გზით „ნაპოვნი" იქნას მოკავშირე საფრანგეთისათვის. ბენეშმა აშკარად უნდა განაცხადოს, რომ მან დადვა თავდაცვითი ხელშეკრულება საფრანგეთთან ორიენტაციით საბჭოთა რუსეთისაკენ.

მენშევიკების განცხადება

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება:

მძიმე გრძნობით ვიგონებ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სახელოვან წარსულს, რომელმაც ცარიზმის ხანაში მისცა ხალხს მედგარ, პატიოსან მებრძოლ-რევოლიუციონერების კადრი და ჩემი მოქმედების სამართლიანობის სრული შეგნებით, ვსტოვებ ამ პარტიის რიგებს, მიუხედავად იმისა, დავრჩები მე საგანგებო კომისიის კედლებში, თუ ვიქნები განთავისუფლებული! გამოსავალს არ ვეძებ. ჩემი ნაბიჯი სწორია და დროული, იგი არის ჩემ მიერ პარტიის უკანასკნელ 2—3 წლის და მიმდინარე მთელი მუშაობის ანალიზის და გადაფასების შედეგი.

ყველაფერი ის, რაც სირცხვილად ითვლებოდა, რაც შავ ლაქად დააჩნდებოდა პარტიის წარსულ ბრწყინვალე მოღვაწეობას, დღეს მიღებული იქნა მისი მუშაობის საფუძვლად, რამაც პარტიის გახრწნა გამოიწვია. ფაქტები, რომლებიც მე მოვიყვანე წერილში „ნიღაბი მოვიხსნათ", ერთხელ კიდევ ადასტურებენ, პარტიის ტაქტიკის მიუღებლობას, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს. თუ არაფერს ვიტყვით მის მიერ შექმნილ და ყოველმხრივ ხელშეწყობილ ანარქიაზე, რომელიც გამოიხატა სხვადასხვა ბანდების გამოსვლებში, ექსპროპრიაციების ცდაში, მკვლელობაში და სხვა, პარტია სარგებლობდა რა იგი მასის ნდობით, ავრცელებდა ყოველგვარ რადიო-ჭორებს, სცდილობდა სახელი გაეტეხა საბჭოთა წესწყობილებისათვის, კვებავდა ამ მასას საეჭვო იმედებით „გარედან დახმარებაზე", აყენებდა მას მოსეს ისრაელის მდგომარეობაში, რომელიც მოელოდა „ცის მანანას", 3 წლის განმავლობაში იგი აშორებდა მასას სააღმშენებლო მუშაობაში მონაწილეობისაგან და ამით ხელს უშლიდა საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. ყველაფერ ამ საზიანო მუშაობას პარტიამ დაუმატა ფრიად სახიფათო, ავანტიურისტული ნაბიჯი, რომელიც უსათუოდ დაღუპვას უქადდა ხალხს. მან გადასწყვიტა მოემზადებია აჯანყება საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ და იგი არ ერიდებოდა ბრძოლის არავითარ საშუალებას. თუ რევოლიუციონურ მუშაობის წარსულ ხანებში, ჩვენი პარტია ბურჟუაზიასთან რაიმე შეთანხმებას, უმნიშვნელო მასშტაბითაც კი, სთვლიდა რევოლიუციის საქმის, პროლეტარიატის ღალატად, რისთვისაც მოღალატეებს დაუზოგავად სჯიდა, ჰყრიდა მათ თავის ოჯახიდან (ეს იყო ყველაზე მძიმე სასჯელი), დღეს ეს შეთანხმება კი არ იკრძალებოდა, პირიქით იგი ჩვენდა სამწუხაროთ, დაკანონდა საქართველოში და ჩამოყალიბდა მის საბოლოო კავშირში საქართველოს ბურჟუაზიულ პარტიასთან, ყოფილ თავად-აზნაურების, ვაჭრების და სასულიერო წოდების—ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ამ პარტიასთან ერთად ჩვენ გადავსწყვიტეთ წავსულიყავით მშრომელთა ხელისუფლების, სოციალისტურ პარტიის წინააღმდეგ, რომელთანაც ჩვენ გვაკავშირებდა მუშაობა წარსულში. ძველი დროის სახელოვანი რევოლიუციონური ტრადიციები დავივიწყეთ. რევოლიუციის წითელი დროშა, ჩვენ გავსცვალეთ შავ ფაშისტურ დროშაზე, რომელიც უმზადებს მშრომელებს განადგურებას და სიკვდილს! ჩოლოყაშვილის, გვირდწითელის და სხვ. თავად-აზნაურულ ბანდების სულისჩამდგმელ ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან დაძმობილებამ დაადასტურა მშრომელთა მიერ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ბანდებთან კავშირსა და ხალხის ღალატში. ერთის შეხედვით გვეგონა, რომ ამ პარტიის წარსული მოღვაწეობა უნდა ყოფილიყო გაკვეთილი ჩვენთვის, ქართველ მენშევიკებისათვის. ჩვენ დავივიწყეთ მისი ანტიპროლეტარული მუშაობა დამფუძნებელ კრებაში, ისეთ კანონ-პროექტების განხილვის დროს, რომლებიც განსაზღვრავდენ ურთიერთობას შრომასა და კაპიტალს შორის. ჩვენ დავბრმავდით ერთად ერთი სურვილით—ჩამოგვეგდო მუშების და გლეხების ხელისუფლება და დაუკავშირდით პროლეტარიატის გუშინდელ მტრებს, რომლებიც სთესავდენ ეროვნულ შუღლს საქართველოში; ამგვარად ჩვენ ამოვყავით თავი ქართველ კონტრ-რევოლიუციონერების ბანაკში.

ჩავიდინეთ გამყიდველობა, მოვახდინეთ პარტიული პოლიტიკის გადახრა მარჯვნით, მშრომელთათვის საზარალოდ და ბურჟუაზიის სასარგებლოდ; დავივიწყეთ, რომ ბურჟუაზია ერთნაირად გვიმტერება როგორც ჩვენ, ისე კომუნისტებს და ოცნებობს იმ მომენტზე, თუ როდის იყრის ჯავრს ჩვენზედაც და სხვებზედაც. ამის მაგალითი ჩვენ უკვე დავინახეთ გერმანიაში.

ამრიგად, ამ ბურჟუაზიული პარტიით და ბანდებით ჩვენ ვემზადებოდით აჯანყებისათვის, ჩვენ მივდიოდით საქართველოს მშრომელების წინააღმდეგ და არ ვუწევდით ანგარიშს ჩვენი ასეთი ნაბიჯის მათთვის საბედისწერო შედეგებს. თუ არ ვილაპარაკებთ ქვეყნის ეკონომიურ განადგურებაზე, საქართველო სამოქალაქო ომის პროცესში დაზარალდებოდა ფიზიკურადაც: საუკეთესო ძალები დაიღუპებოდნენ; გამოვიდოდნენ ასპარეზზე სხვა რეაქციონური ჯგუფებიც, თვითეული მოინდომებდა თევზის ჭერას მღვრიე წყალში. საქართველო გადაიქცეოდა შავი რეაქციის სათარეშო ასპარეზად, რომლის პირველი მსხვერპლი იქნებოდა „ჩემი რაიონი" მესხეთ-ჯავახეთი. დიდი ხანია მასზე კბილებს ილესავენ ოსმალეთში გაქცეული ბეგები სერვერ-ათაბეკოვის მეთაურობით, რომლებმაც ორჯერ, 1918 და 1919 წლებში ჯავრი იყარეს მიწების ჩამორთმევისათვის (ისინი იყვნენ მსხვილი მემამულეები ამ მხარეში) სომეხ, მუსლიმან და ქართველ გლეხებზე.

განა შეიძლება დავიწყება იმ აწიოკების, რომელიც მოახდინეს ოსმალეთის ურდოებმა ათაბეკოვის და მისი კომპანიის ხელმძღვანელობით? ჩვენმა პარტიამ, რომელმაც ბლოკი შეჰკრა ნაციონალ-დემოკრატებთან, დაივიწყა ამ პარტიის შავი საქმიანობა 1906 და 7 წლებში რეაქციის დროს, დაივიწყა ამ პარტიის პირმშო შვილების — აბდუშელიშვილის, ამილახვარის, აბაშიძის, მაყაშვილის დამსჯელი ექსპედიციები ქართლში! ჰკითხეთ მათ შესახებ საქართველოს თვითეულ გლეხს და ის წყევლით მოიხსენიებს მათ.

ხალხი ჩვენ გვენდობოდა, ხოლო ჩვენ გვინდოდა ბოროტად გამოგვეყენებია ეს ნდობა, ვამზადებდით რა მათვის ხოცვა-ჟლეტას და უპირებდით მათ ბურჟუაზიის და ფეოდალების ბრჭყალებში ჩაგდებას.

ჩვენმა ძველმა პარტიულმა ამხანაგებმა, აქტიურმა გამოცდილმა მებრძოლებმა, მუშებმა და ინტელიგენციის ნაწილმა დიდი ხანია გაითვალისწინეს ყველაფერი ეს, ერთხელ და სამუდამოთ გასწყვიტეს კავშირი მენშევიკურ პარტიასთან და დადგნენ იმ პლატფორმაზე, რომელიც მიიღო მათმა ყრილობამ 2[illegible] [illegible] ამას ჩავდივარ [illegible] ბრძოლის და განვლილ გზას [illegible] მათზე [illegible] გვიან, მაგრამ უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს! ვთხოვ მათ მიმიღონ თავიანთ ოჯახში. შეიძლება მე,—პატარა კაცმა,—ჩემი ძალა, ცოდნა და ენერგია მოვახმარო დიდ საქმეს—ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმეს, მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ამას მომავალი გვიჩვენებს.

დიახ, ჩემი განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ იქნეს მოწოდება ჩემ ამხანაგებისადმი,—რომლებიც იმყოფებიან ხაშურის, ბორჯომის რაიონებში, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, ამხანაგებისადმი, რომლებთანაც მე პარტიულ და სხვა საქმეების გამო ხშირად მიხდებოდა შეხვედრა,—გაჰყვნენ ჩემს ნაბიჯს, სანამ გვიან არ არის.

დარჩენა მენშევიკების პარტიაში რომელნიც იქცენ ავანტიურისტებათ, კაცის მკვლელებათ, მუშათა კლასის გამყიდველებათ,—სირცხვილია თვითეული პატიოსანი ამხანაგისათვის.

ვანო ხმალაძე.

P. S ვსთხოვ ადგილობრივ გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ჩემი განცხადება.

ვ. ხ.

1924 წ. 14 იანვარი.

საქართველოს საგანგებო კომისია (ჩეკა).

ამხ რედაქტორო! მე, საქართველოს სოც. დემოკრატ. მუშათა პარტიის წევრი, ვაცხადებ პარტიიდან გამოსვლას, ვინაიდან მენშევიკური პარტია გარდაიქცა ბანდიტების პარტიად. ამას მოწმობს ილარიონ გიორგაძის მკვლელობა და სხვა მრავალი ყაჩაღური მოქმედება. მე ზიზღს ვუცხადებ მენშევიკურ ცეკა'ს. დღეიდან მე მზად ვარ მთელი ჩემი ძალღონე შევსწირო მუშებისა და გლეხების საქმეს და შევუწყო ხელი საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობითი მუშაობაში.

ვახო არტემის ძე დავითაშვილი.

მცირე ანტანტის კონფერენცია

მცირე ანტანტის სახელმწიფოების კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის პრემიერმა ბენეშმა შეიტანა წინადადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

კონფერენციამ „ერთხმად" (საფრანგეთის კარნახით) დაადგინა რუსეთის საკითხში დაუცადოს დიდი სახელმწიფოების „ნაბიჯებს".

სერბიის ყოფილმა ელჩმა რუსეთში მეფის მთავრობის დროს სპალაიკოვიჩმა სასტიკად გაილაშქრა საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის აღდგენის წინააღმდეგ. სერბიის ყველა გაზეთები აღშფოთებული არიან სპალაიკოვიჩის გამოსვლით.

სერბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნინჩიჩმა განაცხადა, რომ მთავრობა არ იზიარებს სპალაიკოვიჩის განცხადებასო.

კონფერენციის გახსნა.

ვენა. 10 იანვ. ბელგრადში გაიხსნა მცირე ანტანტის კონფერენცია. სამხრეთ-სლავიის პრესა ხაზს უსვამს კონფერენციის დიდ მნიშვნელობას; ჩეხოსლოვაკიის და რუმინეთის მთავრობის წრეები კი სცდილობენ შეამცირონ მისი მნიშვნელობა.

ბელგრადის პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს ბენეშმა განაცხადა, რომ კონფერენცია პირველ ყოვლისა განიხილავს საკითხს უნგრეთის სესხის შესახებ; დანარჩენ საკითხების შესახებ, განსაკუთრებით კი საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულებისა და რუსეთის საკითხის შესახებ, მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სამხრეთ-სლავიის პრესა აღნიშნავს, რომ აუცილებელია მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის შესახებ. სამხრეთ სლავიის ოფიციალური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეხლა, როდესაც გამოაშკარავდა საფრანგეთის და ინგლისის ინტერესი რუსეთის საკითხისადმი, მცირე ანტანტამ საბოლოოთ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ დამოკიდებულებათა აღდგენის ინიციატივა გამომდინარეობს თვით სამხრეთ სლავიისაგან კი არა, არამედ მისდამი მეგობრულათ განწყობილ უცხო მთავრობებისაგან, რომელიც სცდილობენ, რომ უშუალოთ დაუკავშირონ სამხრეთ-სლავია საბჭოთა რუსეთს. იმის გამო, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოებს შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი რუსეთის საკითხის შესახებ, განსაკუთრებით კი რუმინეთის პოზიციის გამო, ფიქრობენ, რომ მცირე ანტანტა მთლიანათ არ იცნობს საბჭოთა რუსეთს, მაგრამ ის მიანიჭებს თვითეულ თავის წევრს მოქმედების თავისუფლებას ამ საკითხში.

ჩეხო-სლოვაკიის ელჩმა ბუქარესტში პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბელგრადის კონფერენციის მიზანია მცირე ანტანტის სახელმწიფოთა სიმტკიცის დემონსტრაცია. ელჩის სიტყვების თანახმათ, საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულება მხოლოდ საბოლოო ფორმაა იმ შეთანხმების, რომელიც წინეთ არსებობდა საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის; ის არავითარ გავლენას არ მოახდენს ჩეხოსლოვაკიისა და მცირე ანტანტის ურთიერთობაზე. პოლონეთის ელჩმა ბუქარესტში პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ პოლონეთი მეგობრულათ ეპყრობა მცირე ანტანტას, მაგრამ მას განზრახვა არ აქვს ფორმალურათ შეუერთდეს მას. უნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთი მცირე ანტანტის სლავიანურ სახელმწიფოთა საშუალებით სცდილობს კავშირი დასდოს რუსეთთან.

წყალდიდობა საფრანგეთში

დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ.

პარიზი. 12 იანვარი. დეპუტატთა პალატაში კომუნისტმა ბერტონმა წინადადება შეიტანა 30 მილ. ფრანკის გადადების შესახებ. წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გაწევის მიზნით. ბერტონმა გაკიცხა ადმინისტრაცია, რომელმაც არ მიიღო ზომები წყალდიდობის თავიდან აცილებისათვის.

დეპუტატთა პალატამ დაადგინა გადასდოს ამ მიზნისათვის 11 მილ. ფრანკი.

წყალდიდობა პარიზში.

პარიზი. 12 იანვარი. წყლის დონე სენაში განაგრძობს დაკლებას. მიწისქვეშეთა მიმოსვლის გზები ჯერ-ჯერობით არ არის აღდგენილი.

სენის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანება კომპარტიის დახმარებით აწყობს მუშათა კრებებს, რომლებმაც უნდა მიიღონ დაუყოვნებლივი ზომები იმისათვის, რომ მუშებს მიეცეთ სათანადო ჯილდო, წყალდიდობით გამოწვეულ უმუშევრობის დროისთვის.

სხვადასხვა

საფრანგეთი

წაიჩხუბნენ რუმინეთის ნავთისათვის

ბერლინი. 12 იანვარი. საფრანგეთის სინდიკატის მოლაპარაკება რუმინეთის მთავრობასთან ნავთის კონცესიების შესახებ უშედეგოთ დამთავრდა, ვინაიდან, საფრანგეთის მთავრობამ მოულოდნელად მოითხოვა, რათა ზოგიერთი წყაროების ექსპლოატაციის უფლება მიენიჭოს მას. ბუქარესტში ეს მოთხოვნილება უარყოფილი იქნა, რის შემდეგაც პუანკარემ მისთვის ჩვეულებრივ მკვახე ტონით აცნობა რუმინეთის მთავრობას, რომ რუმინეთს არ შეუძლია იმედი იქონიოს საფრანგეთის დახმარებაზე. საფრანგეთის სესხი რუმინეთის შეიარაღებულ ძალისათვის, ჯერ-ჯერობით გვერდზეა გადადებული.

წყალდიდობისაგან დაზარალებულებს.

ბერლინი 12 იანვარი საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ გადასდო 15 მილ. ფრანკი წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

ძლიერი ქარიშხალი ზღვაზე.

პარიზი. 12 იანვარი ატლანტიის ოკეანეს საფრანგეთის სანაპიროებთან მომხდარმა ქარიშხალმა დიდი ზარალი მიაყენა მთელ სანაპიროს—ბრეტანიიდან ბიარიცამდე. დანგრეულია ყველა შენობები ზღვის ნაპირებზე.

პარლამენტის გახსნა.

პარიზი. 9 იანვარი. (მოსკოვით) 9 იანვარს გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტი.

საბერძნეთი

ბერლინი 13 იანვარი. ათენიდან მიღებული ცნობებით დანგლისმა ვერ შეძლო მთავრობის შედგენა. ვენიზელოსმა იკისრა შედგენა კაბინეტის, რომელშიაც იგი დაიკავებს უპორტფელო მინისტრის პოსტს.

ამერიკა

მოძრაობა ამერიკის კუნძულებზე.

ნიუ-იორკი. 12 იანვარი. ფილიპპიის და პორტორიკოს კუნძულებმა ერთ და იმავე დროს მიიღეს გადამწყვეტი ნაბიჯები იმისათვის, რომ შეზღუდონ ამერიკის ბატონობა და გააფართოვონ თავის ავტონომია. ვაშინგტონში ჩასულმა ფილიპპის დელეგაციამ მოითხოვა ფილიპპის დამოუკიდებლობა და აგრეთვე ის, რომ ამერიკა არ ჩაერიოს კუნძულების ეკონომიურ ცხოვრებაში.

იაპონია

დიდი შეთქმულება კუნძულ ფორმოზაზე

ვლადივოსტოკი. 12 იანვარი. კორეიაში და კუნძულ ფორმოზაზე ძლიერდება მოძრაობა იაპონიის წინააღმდეგ. ამას წინად კუნძულ ფორმოზაზე აღმოჩენილ იქნა დიდი შეთქმულება იაპონიის მმართველობის წინააღმდეგ. იაპონიის პოლიციამ დაატუსაღა 69 კაცი, რომელნიც ითვლებიან დამოუკიდებლობის ორგანიზაციის წევრებათ.

დანია

ფაშისტური პარტიის ყრილობა

კოპენჰაგენი. 12 იანვარი. შესდგა ფაშისტური პარტიის დამაარსებელი ყრილობა ბელადებს შორის არიან უმაღლეს ხარისხის ოფიცრები. ფაშისტები ენერგიულად ემზადებიან არჩევნებისათვის.

იტალია

პარლამენტის დათხოვნა.

ბერლინი. 11 იანვარი. ხუთშაბათს მოელიან იტალიის პარლამენტის დათხოვნას.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ოფიციალური საბჭოთა აგენტი.

მოსკოვი. 13 იანვარი. საბჭოთა კავშირის ოფიციალურ აგენტათ კანადაში დამტკიცებულია ამხ. იაზიკოვი.

ძლიერი ქარიშხალი მურმანსკში.

პეტროგრადი. 11 იანვარი. მურმანსკში სამი დღეა გრძელდება ძლიერი ქარიშხალი, რომელიც საშუალებას არ აძლევს გემებს შევიდნენ ნავთსადგურში. გემები ჩერდებიან მურმანსკიდან 100 ვერსის მოშორებით, ლარგის ბუხტში.

ქარიშხალი ბალტიის ზღვაზე.

მოსკოვი. 11 იანვ. 9 იანვარს ბალტიის ზღვაზე ქარიანი ამინდი იყო, რასაც მოჰყვა თოვლი და ქარბუქიანი ქარიშხალი.

ბელორუსიაში

სრულიად ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა.

მინსკი. 14 იანვარი. სრულიად ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა მიღებულ რეზოლიუციაში ესალმება რუსეთის კომპარტიის ცეკას მიერ აღებულ ხაზს და ბელორუსიის გლეხობის და მუშების სახელით აღუთქვამს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებს აღნიშნულ ღონისძიებათა გატარებაში.

ჩვენი პურის ღირსება

ამხ. პრიგარინის მოხსენება

ამხ. პრიგარინის მოხსენება.

მოსკოვი. 13 იანვარი. საკავშირო საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა თათბირზე „ექსპორტპურის" გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პრიგარინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე თანაბრად არ არის განაწილებული პურის კულტურები, ამიტომ დღეს ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ უცხოეთის ბაზრის მთელ მოთხოვნილებას ჩვენს პურზე. ამიტომ ჩვენი პურის ექსპორტის მთავარ საგანს ამ წელში შეადგენს ჭვავი. წარსულ წელში ჩვენ დავიპყარით მთელი რიგი ბაზრები, საიდანაც გავდევნეთ ამერიკა, **მიმდინარე წელს ჭვავზე მსოფლიო მოთხოვნილების 80 პროცენტს დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირი.** ჩვენ მიერ გატანილი 450 გემ ჭვავიდან, არც ერთი არ მოხვდა არბიტრაჟში, რაც ამტკიცებს, რომ ჩვენი **პური მეტად მაღალი ღირსების არის.**

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო
აფხაზეთი

ხალხთა კავშირის მუშაკთა კონფერენცია.

სოხუმი. 13 იანვარი. 16 იანვარს მოწვეულია აფხაზეთის სახალხო კავშირის მუშაკთა სარაიონო კონფერენცია. კონფერენციის ჩასატარებლად ჩამოვა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი.

დახმარება კომ. ახალგ. კავშირის დასახმარებლად.

სოხუმი. 13 იანვარი. კომ. ახალგ. კავშირის უჯრედის კრებამ დაადგინა თავისი საწევრო გადასახადის 20 პროც. გადასდოს ხოლმე დასავლეთის კომუნ. ახალგაზრდობის კავშირის სასარგებლოდ.

სომხეთი.

ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ.

ერევანი. 13 იანვარი. ლორის მაზრაში დაიწყო ბრძოლა მინდვრის თაგვების წინააღმდეგ. მუშაობის ხელმძღვანელობისათვის მოწვეულნი არიან ინსტრუქტორები ცენტრიდან. გაგზავნილია საჭირო პრეპარატები და ფული

გორისი. 13 იანვარი. ზანგეზურში მოსალოდნელია მინდვრის თაგვების და მახრას გაჩენა. სპეციალისტების მიერ შეგროვილი ცნობების თანახმად, ზანგეზურში დაავადმყოფებულია 3 350 დეს. ნათესი, მეგრში 2.550. ზანგეზურში აღმოჩენილია მახრას კვერცხები 1.275 დეს. მანძილზე, მეგრში 1 683 დეს. კალიას გაჩენის ნიშნები ჯერ ჯეროვნით არ არის.

ერევანი. 13 იანვარი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ სახალხო კომისართა საბჭოში წარადგინა ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ; განყოფილებამ მიიღო აგრეთვე ზომები ფულის მისაღებათ მოსკოვიდან.

პარტიული ცხოვრება

დღეს, 15 იანვარს

როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მოკვლიდან

ხუთ წლის შესრულების გამო, გამართული იქნება როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის

მოსაგონარი საღამოები:

1. ცენტრალურ პარტიულ კლუბში (კირკის ქ., მუშკოოპის შენობა) საღამოს 8 საათზე—მოხსენებები ამხ. ამხ. გოგობერიძის, ტაკოევის.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება რევოლიუციონური შინაარსის კონცერტი.

პარტიის წევრებისათვის შესვლა თავისუფალია პარტბილეთების მიხედვით.

2. მუშათა ცენტრალურ კლუბში საღამოს 7 ნახ. საათზე—კონცერტი—მიტინგი; მოხსენებას გააკეთებს ამხ. ცხაკაია.

3. როზა ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკის კლუბში—საღამოს 7 საათზე მომხსენებელი—პენიაკოვი.

4. ავლაბრის მუშათა კლუბში საღამოს 7 საათზე—მიტინგი-წარმოდგენა. მომხსენებელი—ამხ. ს. მარკარიანი.

5. მბეჭდავთა კლუბში საღამოს 7 საათზე. მომხსენებელი—ამხ. მახარაძე.

6. ნაძალადევის თეატრში საღამოს 7 საათზე. მომხსენებელი—ამხ. ერქომაიშვილი.

7. პროფკავშირთა საბჭოს კლუბში საღამოს 8 საათზე მომხსენებელი—ამხ. ვარძიელი.

8. აღმოსავლეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერნაციონალურ კლუბში საღამოს 8 საათზე მომხსენებელი—ამხ. ავენირი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ეხეჯი.

ამხ. ტროცკის ავადმყოფობის გამო

ქალაქის რაიკომის დელეგატთა 9 იანვრის კრების სხდომის ოქმიდან № 4.

კრებამ მოისმინა მოხსენება ამხ. ტროცკის ავადმყოფობის შესახებ და დაადგინა: „მოვისმინეთ რა ცნობა ამხ. ტროცკის ავადმყოფობის შესახებ, ქალაქის რაიკომის დელეგატთა კრება ადგენს, რომ ეთხოვოს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, რათა მიიღონ ყველა ზომები იმისათვის, რომ ამხ. ტროცკიმ სისწორით შეასრულოს ექიმების მოთხოვნილებები, რომ შემდეგ სრული ძალებით დაუბრუნდეს ჩვენი პარტიისა და კომინტერნისათვის ესოდენ საჭირო ხელმძღვანელ მუშაობას“.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

აზერბეიჯანის ორგანიზაციის დადგენილებანი

ეკონომიური პოლიტიკის ახალი ამოცანების შესახებ

ბაქო. 13 იანვარი. აზდივიზიის სამმართველოს იაჩეიკამ, მოისმინა რა მოხსენება ეკონომიური პოლიტიკის ახალი ამოცანების შესახებ, დაადგინა: საერთო ხაზი, რომელიც აღებული აქვს რუსეთის კომპარტიის ცეკას სამეურნეო მშენებლობის და ეკონომიური პოლიტიკის მორიგ ამოცანების დარგში, ჩაითვალოს სავსებით სწორათ; დაუყოვნებლივ შეუდგენ რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციაში აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას. თავის მხრივ იაჩეიკამ მიიღო შემდეგი პრაქტიკული წინადადებანი:

გაუმჯობესებულ იქნეს ომის და შრომის ინვალიდების მდგომარეობა; ყურადღება მიექცეს წითელარმიელთა ოჯახების შეღავათებს; დასმული და განხილული იქნეს ცეკას რეზოლიუციაში გამოტანილი საკითხი უმუშევრობასთან ბრძოლის ზომების შესახებ; მიეცეს შეღავათი კოოპერაციას; სავაჭრო აპარატში მუშაკებათ წამოყენებულ იქნენ მუშები უმეტეს შემთხვევაში; ყურადღება მიექცეს ტრანსპორტს და საჰაერო ფლოტს; აღინიშნოს ტრესტების უფლებები დამოუკიდებელი კალკულიაციის დარგში; სწარმოებდეს დაუნდობელი ბრძოლა სამეურნეო ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ.

აზერბეიჯანის კომპარტიის ბალახან-საბუნჩის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება ეკონომიური პოლიტიკის ახალი საფუძვლების შესახებ, სავსებით შეუერთდა, რ. კ. პ. ცეკას რეზოლიუციას და აუცილებელ საჭიროებათ სცნო მათ ცხოვრებაში გატარება.

პარტიული დისკუსიის გამო.

ბაქო 13 იანვარი. „აზნავთის“ იაჩეიკის ოპოზიციონურ რეზოლიუციას გამოეხმაურენ როგორც ცალკე ამხანაგები, ისე ბაქოს ორგანიზაციის იაჩეიკები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „აზნავთის“ ცენტრალურ სამმართველოს იაჩეიკა ალბად სრულებით არ არის გაცნობილი იმ მუშაობასთან, რომელიც გაუწევია პარტიას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და ვერ ერკვევა არსებულ პირობებში, და ამიტომ მოითხოვენ, რომ იაჩეიკა კიდევ დაუფიქრდეს თავის რეზოლიუციას. ამავე დროს საჭიროთ არის მიჩნეული ის, რომ აღნიშნული იაჩეიკის წევრები მიმაგრებულ იქნენ ბაილოვის და შავი ქალაქის შეგირდ მუშებთან.

ამხ. ზინოვიევის წერილის გამო

საქართველოს კომპარტიაში დიდი გამოძახილი ჰპოვა ამხ. ზინოვიევის წერილმა. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი დარჩა პარტიისათვის მისი „ახალი ამოცანები“.

დიდი ხანია ეს კითხვა თხოულობდა ანგარიშის გაწევას, მაგრამ არ გვქონდა საშუალება მისი დასმისა პარტიაში. მაგრამ ამ კითხვის ასეთ ფართო გარჩევის შემდეგ მაინც უნდა გადაწყდეს ის პარტიული მუშაობის წარმატებისათვის.

ეს კითხვა ქალაქის მუშებზე ნაკლებათ არ აინტერესებს სოფლის გლეხკომუნისტებს, იმ გლეხებს რომლებმაც აუარებელი მსხვერპლი გაიღეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სხვადასხვა რევოლიუციონურ აჯანყებებში დღეს მათ არ უწევენ ანგარიშს ზოგი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები. იქ თვითმოქმედება შემოფარგლულია, ვერ ახერხებენ თავის სურვილისამებრ მოახდინონ სხვადასხვა არჩევნები. ეს უკმაყოფილებას იწვევს პროვინციელ ამხანაგებში და ეხლა, როგორც საერთოდ დასმულია კითხვა შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ, მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად საჭიროა, როგორც ქალაქში, ისევე მიღებულ იქნეს პროვინციებშიაც სათანადო ზომები.

კარმენ ცინცაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კერძო ბირჟაზე.

(15 იანვარი)

ჩერვონცები	750,000
გირ. სტერლინგ. უფასტ.	712,500
ჩეკები	705,000
დოლარები უფასტ.	166,500
ჩეკები	158.000
თურქ. ქაღ. ლირა	100.000
იტალიური ლირა	7050
ფრანგული ფრანკი	7900
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშკოოპის ფასები.

(15 იანვარი)

პური 1 ხარ.—3000 ათ., პური 2 ხარ—2250. ათ. ძროხის ხორცი—11000 ათ. ღორის ხორცი 12.000 ათ. შაქარი რაფინადი—37,125 ათ. ფხვნილი შაქარი 20,925 ათასი, ბრინჯი აღდ. 5400 ათ. კარტოფილი—750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(14 იანვარი)

პური 1 ხარ.—3500 4000 ათ., პური 2 ხარ.—3000 ათასი, ძროხის ხორცი 13000 ათ. შაქარი რაფინადი—38500 ათ., შაქარი ფხვნილი 22,000 ათ. ბრინჯი აღდ.—6500 ათ., კარტოფილი 1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, ლეღვები (აქლემის ტყავის), თხის ტყავები, ყარსის თივა, ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რკინის), შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ალიფას ზეთი და სხვა), ცემენტი და ეტერნიტი, სალომასი, ქვამარილი ნახიჩ.; საარაყო პურქვლი.

ბირჟის მოთხოვნილება

მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნიკური ცხიმი, შაქარი რაფინ. და ფხვნილი, რუს. მანუფაქტურა, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი, საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი რუს., ქვამარილი ნახიჩ., ხორბალი და პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია.

ოფიციალური გარიგებანი

ქლორ. ცინკი 4 მ. 95 კ. ფრანკო—ბაქო—ცისტერნი.

მარილის სიმჟავე—4 მ. 25 კ. ბალონი, ფრანკო-სად. ტფილისი. რუს. მანუფაქტურა (ქალ.) უკანასკნელ პრეისკურანტის ფასებში

ტყავეულობა 2406 მ. 48 კ ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ფქვილი (პურის)—2 მ. 40 კ. ფუთი, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება—გაცხოველებულია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და მასთან ერთად უცხო ვალიუტის კურსი განაგრძობს ზევით აწევას.

რუს. საფეიქრო სინდიკატის ტფილისის განყოფილების სავაჭრო ბრუნვა (ტფილისში)

სინდიკატის ტფილისის განყოფილებამ წარსული წლის დეკემბერში გაჰყიდა საქონელი სულ 283 820 მ. აქედან ბითუმათ მიყიდულია—სახელმწიფო დაწესებულებებს და კოოპერაციას 126 240 მანეთის, კერძო პირთ—125.840 მ; საწვრიმალოთ გაყიდულია 31.740 მანეთისა. ნოემბერში გაყიდული იყო სულ 191.020 მან ამგვარად დეკემბრის ბრუნვა აღემატება ნოემბრის ბრუნვას 48,6 პროცენტით. ეს მომატება მით უფრო არის აღსანიშნავი, რომ მანუფაქტურაზე, ფასების შემცირება მოხდა 16 დეკემბრიდან.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(15 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	750 000,	60 კ	45 000.000
2 „	1 500.000,	70 „	52 500.000
3 „	2.250.000,	80 „	60 000.000
4 „	3 000.000,	90 „	67 500.000
5 „	3 750 000,	1 მ.	75 000 000
6 „	4 500.000,	2 „	150.000.000
7 „	5 250.000,	3 „	225 000.000
8 „	6 000 000,	4 „	300 000.000
9 „	6 750 000,	5 „	375 000.000
10 „	7 500.000,	6 „	450 000.000
20 „	15 000.000,	7 „	525 000.000
30 „	22 500.000,	8 „	600 000.000
40 „	30 000.000,	9 „	675.000.000
50 „	37 500 000,	1 ჩერ.	750 000 000

ამიერ-კავკასიის სამრეწველო ბანკის ორგანიზაცია

უკვე რამდენიმე თვეა, რაც დაიბადა აზრი ამიერ-კავკასიის სამრეწველო ბანკის ორგანიზაციის შესახებ. ჩვენი მრეწველობის უძლიერესი საჭიროება ფულის რესურსებში, საბრუნავი თანხების ნაკლებობა და სხვა,—აი ის მოტივები, რომლებმაც გამოიწვია ხსენებული აზრი. უმთავრესი მიზანი სავაჭრო სამრეწველო ბანკისა—არის ჩვენი მრეწველობის ჩამორჩენილ დარგებისათვის ხელის შეწყობა კრედიტების მიცემით და სხვა დახმარება. ამ მიზნებისთვის გადადებულ თანხას იმავე დროს შეუძლია დახმარება გაუწიოს აგრეთვე ჩვენ ვაჭრობასაც. ანალოგიური ბანკის არსებობა რუსეთში სავსებით ამტკიცებს ამ ზომის მიზანშეწონილებას ამიერ კავკასიის პირობებში.

ამ ჟამად აღნიშნული საკითხი იღებს პრაქტიკულ განხორციელებას და მოსალოდნელია ახლო მომავალში მოსკოვის სამრეწველო ბანკას განყოფილების გახსნა, რომელიც შემდეგში გადაიქცევა საბჭოთა რესპ. კავშირის სამრეწველო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორათ. ამ კანტორის დანიშნულებას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის მრეწველობის აღდგენა და გაცხოველება, კერძოთ განსაკუთრებით საქართველოს ვაჭრობის და მრეწველობის.

უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის მიერ კრედიტების გაცემა გავრცელდება მხოლოდ ადგილობრივ მრეწველობაზე ან ვაჭრობაზე, ამიტომ სახელმწიფო ან კერძო წარმოებები, რომელთა გამგეობები ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე იმყოფებიან, არ ჩაითვლებიან ბანკის კლიენტებათ კრედიტობის მხრივ. სამრეწველო ბანკის მოქმედებისთვის იხსნება ფართე პერსპექტივები მრეწველობის ისეთი დარგების აღსადგენად, როგორც არის შავი ქვის, ტყის და სხვ. ამიტომ განზრახულია—ბანკის ტფილისის განყოფილების გახსნის შემდეგ, მაშინვე გაიხსნას ფოთში საკომისიო კანტორა უმთავრესად შავი ქვის მრეწველობისთვის. ამგვარი კანტორები გაიხსნება აგრეთვე სხვა ადგილებშიც. ბანკის რესურსები შედგება ერთის მხრით ტფილისის განყოფილების აქციებზე ხელის მოწერით, ხოლო მეორე მხრით—უშუალო კრედიტით ცენტრიდან. ამიერ-კავკასიის განყოფილების საერთო თანხა იქნება არა ნაკლებ 50.000 ჩერვ. განყოფილების ყველა შემოსავალი სავსებით დარჩება ამიერ-კავკასიაში, ადგილობრივი მრეწველობის ან ვაჭრობის საჭიროებებისთვის.

სამრეწველო ბანკი აწარმოებს ყველა საბანკო ოპერაციებს, გარდა სავაჭრო ოპერაციებისა, რომლებსაც ამ ჟამად აწარმოებს ა. კ. სახელ. ბანკის კანტორა.

კოოპერაცია

კოოპერატიული პროპაგანდა უცხოეთში

ინგლისის და ბელგიის კოოპერატორები ცდილობენ ბავშვობიდანვე ჩაუნერგონ მოქალაქეს კოოპერაციისადმი სიყვარული. ბელგიაში მუშათა კოოპერაციის წევრ-მუშის შვილი ხშირად 6-7 წლიდანვე კოოპერატივის წევრი ხდება. საწევრო გადასახადს, რომელიც დაახლოებით 10 კაპ. შეადგენს, რასაკვირველია, მშობლები იხდიან. სამაგიეროდ კოოპერაცია თავის ნორჩ წევრების გონიერულ და ფიზიკურ განვითარება მზრუნველობას კისრულობს. ამ მიზნით კოოპერაციას აქვს თავისი სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვა.

ინგლისში იმავე მიზნით კოოპერატივები მართავენ სხვადასხვა შემთხვევის გამო საბავშვო დღესასწაულებს, ეს დღესასწაულები კოოპერატორებისათვის კოოპერაციის იდეის გავრცელების და კოოპერატიულ აღზრდის მძლავრი საშუალებაა. დღესასწაულებს ისეთ საზეიმო ხასიათს აძლევენ, რომ არ შეიძლება ბავშვის პატარა გონებაზე ძლიერი შთაბეჭდილება არ დასტოვოს და კოოპერაციის სახელს ნათელი ხსოვნა არ შეუერთოს. დღესასწაულში რამდენიმე ათასი ბავშვი იღებს მონაწილეობას.

ინგლისის კოოპერაცია ქალსაც არ ივიწყებს. კოოპერაციას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კოოპერატიულ იდეიების გავრცელებაზე ქალებს შორის ამ მიზნით დაარსებულია „ქალთა ამქარი“, რომლის მიზანია ქალის კოოპერატიულად მომზადება. ორმოცი წელიწადია, რაც ეს ორიგინალური ორგანიზაცია არსებობს. 1908 წ. ამქარის წევრთა რიცხვი 25.000 კაცს აღემატებოდა. ამქარი დაყოფილია 500 ადგილობრივ ჯგუფად. თვითეული ჯგუფი ავტონომიურად მოქმედებს და მიწერილია ადგილობრივ კოოპერატივზე; ამქარი მართავს ლექციებს, ავრცელებს საკუთარ გამოცემებს, მართავს ექსკურსიებს, საბავშვო დღესასწაულებს და სხვ. ამქარს უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ კოოპერაციაში მომუშავე ხალხი არ იჩაგრებოდეს. ამქარის ასეთი ცოცხალი მოქმედება აჩვევს ქალს საზოგადო ასპარეზზედ მუშაობას და სხვა.

ევროპაში არც სკოლაა დატოვებული კოოპერატიულ პროპაგანდის გარეშე. თუ უწინ პოლიტიკო-ეკონომიურ ლექციებში კოოპერაციაზე ორიოდე სიტყვას იტყოდნენ ხოლმე, დღეს უკვე ბევრგან ევროპაში კოოპერაციაზე სპეციალური ლექციები იკითხება. მაგალითად, 1895 წლიდან იენაში, გალეში და 1905 წ. დარმშტადში (გერმანია) უკვე კოოპერაციის ცალკე კათედრა არსებობს. ასევეა საქმე ავსტრიაში და შვეიცარიაში. ამ უკანასკნელში არამც თუ უმაღლესს სასწავლებელში, არამედ ზოგიერთ საშუალო სასწავლებელშიაც მოწაფეები პრაქტიკულად ეცნობიან შენახველ-გამსესხებელ კასების დაყენებას.

ინლისის კოოპერატორები საჭიროდ სთვლიან კოოპერაციის თეორიასა და პრაქტიკასთან ერთად გააცნონ მსმენელებს იმას, თუ რა დამოკიდებულება აქვს კოოპერაციას მუშათა მოძრაობასთან და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებასთან.

იქ, სადაც ცალკე ფაკულტეტის ან კათედრის შენახვა არ შეუძლიათ, მეტი ყურადღება მოკლე ვადიან კურსებს აქვს მიქცეული, რომლებიც უმთავრესად კოოპერაციაში მომუშავეებისათვის დანიშნულია.

ევროპაში ამგვარი დროული კურსები ძლიან გახშირებულია.

კარგად არის დაყენებული ეს კურსები გერმანიასა და ინგლისში, სადაც ამ კურსებით ფართე საზოგადოებასაც შეუძლიან სარგებლობა.

ამ ქვეყნებში კოოპერატიული ცენტრალური ორგანიზაციები ათასგვარ შეღავათებს იგონებენ ხალხის წასაქეზებლად კოოპერატიულ ცოდნის გავრცელებისათვის.

ინგლისის ერთ-ერთი კოოპერატიულმა საზოგადოებამ (ბოლტონში) 1907 წელს თავისს წევრებს შორის კოოპერატიულ ცოდნის გავრცელებაზე დახარჯა 28,000 მან. (ოქროთი) მთლად ინგლისის კოოპერაციას კი 1906 წ. იმავე საგანზე დახარჯული აქვს 800,000 მან. (ოქროთი).

გარდა ამისა დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კოოპერატიულ პრესას. 1909 წ. ინგლისის კოოპერატიული ყოველკვირეული ჟურნალი „Cooperative News“ 50 000 ცალი გადიოდა გერმანიაში კი მარტო ერთი ამგვარივე ჟურნალი 100,000 ცალს აღემატებოდა. ყოველთვიურ კოოპერატიულ სქელ ჟურნალებს, ბროშურებს და სააგიტაციო ფურცლებს ხომ სათვალავი არა აქვს.

ნ

პროფკავშირებში

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირი

ა.-კ. შრომის სახ. კომ. მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. იაშვილი)

ამხ. მომხსენებელი უპირველესად შეეხო შრ. სახ. კომ. მუშაობას შრომის დაცვის დარგში და თან აღნიშნა რომ სრული ცნობები ამ საკითხზე ჯერ სავსებით დამუშავებული არ არისო. მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა.

შრომის ინსპექცია.

შრომის ინსპექციის მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: მუშათა უფლებრივი დაცვა და შრომის დაცვა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ტეხნიკურ სანიტარული ინსპექცია), უფლებრივი ინსპექცია, რომელსაც კავშირები ირჩევენ, ვალდებულია იდეიური ხელმძღვანელობა გაუწიოს ტეხნიკური და სანიტარული ინსპექციის მუშაობას.

მუშაობა შრომის დაცვის სფეროში გამოიხატა აგრეთვე დასასვენებელ სახლების მოწყობაში.

დასასვენებელი სახლები.

შარშან, 1923 წელს დასასვენებელ სახლებში აზერბეიჯანში გატარდა 585 კაცი, საქართველოში—2555 კაცი, სომხეთში—174 კაცი.

ამ საკითხს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და აუცილებლად უნდა გაფართოვდეს დასასვენებელ სახლების ქსელი. საშუალებას დასასვენებელი სახლების მოსაწყობად და შესანახად იძლევა სახელმწიფო, მაგრამ ამას გარდა მათ შესანახად აუცილებლად წვლილი უნდა გაიღოს ჩვენმა დამზღვევმა ორგანოებმა.

დამზღვევი ორგანოები.

კავშირებმა და დამზღვევმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ დამზღვევი ორგანოების მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებდეს, რისთვისაც აუცილებელია პროცენტულ ანარიცხთა აკრეფის შესაფერისად მოგვარება. ანარიცხთა აკრეფის ნორმა აუცილებლად 100 პროცენტამდე უნდა ავიდეს. დღემდე პროც. ანარიცხთა შეკრება მხოლოდ 80 პროცენტს აღწევს, რასაც არ შეიძლება არ ემოქმედნა მუშაობის ნორმალურ მსვლელობაზე.

შრომის ბაზარი.

შრომის ბაზრის მდგომარეობა ა | კავკასიაში არ არის საშიშარი იმის გამო, რომ პროლეტარიატის საფუძველი კვალიფიციურ მუშათა ძალის დეკლარაციას და დექაქსვას ადგილი არ აქვს: სულ მთელს ა | კავკასიაში 1 ნოემბრისათვის აღრიცხული იყო 55082 უმუშევარი, ამ რიცხვიდან მთავარ ქალაქებში—45 464 კაცი, ხოლო მაზრებში—9 618 კაცი. სამრეწველო შრომის დარგზე მოდის მხოლოდ 25 პროცენტი, დანარჩენი 75 პროცენტი შეიცავს არასამრეწველო შრომას.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

ა | კ. შრომის სახკომის მუშაობა სატარიფო ეკონომიურ დარგში უკანასკნელ ხანებში მოიკოჭლებს. 1923 წლის ზაფხულში სწარმოებდა მუშაობა შტატების შესასწავლად და სახელმწიფო მინიმუმის განსასაზღვრავად. ამ მუშაობის მიზანი იყო ხელფასის გადიდება. ამჟამად ა | კ. შრ. კომ. აპარატი მუშაობს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაზე მყოფთა ხელფასის ჩერვონეცის ანგარიშზე გადაყვანის საკითხზე გამოსარკვევად.

დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს სურვილს, რომ შრ. სახ. კომ. პროფ. ორგანიზაციებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი დამყარებულიყოს.

სატარიფო განაკვეთი პასუხისმგებელ მუშაკთათვის

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის

დადგენილება № 5.

1924 წლ. იანვრის 14.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წლ. იანვრის 12 თარიღით და № 1-ით გამოქვეყნებულ დადგენილების შესაცვლელად და ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. 1-ლ ოქტომბრის დადგენილების № 53-ის მე-2-ე მუხლის (3-4) შენიშვნის თანახმად—ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესდეს პასუხისმგებელ მუშაკთა შრომის სასყიდლად 1-ლ ხარისხისათვის 15 მან. 30 კაპ. ჩერვ. ანგარიშით—ცხრილში 1:5 შეფარდების მიხედვით:

2. პასუხისმგებელ მუშაკთა შრომის დაჯილდოება ხდება ქვემოხსენებულ სატარიფო ცხრილის მიხედვით:

10 ხარისხისთვის	45 მან.	96 კაპ.
11 „	48 „	96 „
12 „	53 „	55 „
13 „	56 „	61 „
14 „	61 „	20 „
15 „	65 „	79 „
16 „	70 „	38 „
17 „	76 „	50 „

3. შრომის ხელფასის ანგარიშის გასწორება სწარმოებს ა | კ. ფულის ნიშნებით ანგარიშის გასწორების დღის კურსის მიხედვით, რაიც პროვინციისათვის შემცირდება დაწესებულ ზოლების თანახმად.

4. ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. დადგენილება № 7 სავსებით დატოვებულ იქნას ძალაში

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1924 წ. 1-იანვრიდან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი: ა. მიქაძე.

შეთანხმებულია: საქ. პროფკავშირის საბჭოს მდივანი
გ. ყურულაშვილი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრება

13 იანვარს კამერულ თეატრის შენობაში შესდგა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრება, რომელსაც დაესწრნენ ტფილისის ჟურნალ-გაზეთების მუშა კორესპონდენტები, სამხედრო კორესპონდენტები და თანამშრომლები.

კრებაზე ვრცელი საინტერესო მოხსენება საქართველოს არალეგალური პრესის შესახებ გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ. ახასიათებს რა იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა არალეგალურ პრესას და სტამბებს საქართველოში და რუსეთში, ამხ. მახარაძე იძლევა ისტორიულ მიმოხილვას ჩვენში მუშური და პარტიული პრესის წარმოშობის შესახებ.

საქართველოში მეოთხმოცე წლებში, მუშათა წრეებში, უმთავრესად ხელოსნებში დაიბადა სურვილი თავისი საკუთარი ორგანოს შექმნის შესახებ, რომლის ნიმუშები წარმოდგენილია ამას წინად გახსნილ ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამოფენაზე.

1885—6 წ. ინტელიგენტთა წრე გ. ჩიტაძის მეთაურობით ახერხებს. „ოთხი ძმის“ არალეგალურად გამოცემას, რომელსაც გატაცებით კითხულობდენ იმ დროში. ამავე დროს იწყებს მოღვაწეობას ეგნ. ნინოშვილი, რომელსაც ლეგალური ორგანო „კვალი“ იწვევს თანამშრომლად, მაგრამ ისიც უფრო არალეგალურ გამომცემლობისკენ გაიყურება.

ლადო კეცხოველი იყო ერთი პიონერთაგანი ამიერ-კავკასიაში არალეგალური სტამბების მოწყობაში. მალე ბაქოში დაიწყო მოქმედება საიდუმლო სტამბამ, რომელშიაც მუშაობდენ ამხ. ა. ენუქიძე, ვ. სტურუა, შელგუნოვი და სხვები. ამ სტამბას ამხ. კრასინის საშუალებით კავშირი ჰქონდა პარტიის ცეკასთან, რომელიც საზღვარგარეთ ბეჭდავდა ჟურნალ „ისკრას“. სტამბამ თავს იდვა ამ ორგანოს ბაქოში ბეჭდვა იმავე სახით, როგორც ის გამოდიოდა საზღვარგარეთ, რაც დიდ ენერგიას და საქმის ცოდნას მოითხოვდა. ამავე სტამბაში აუარებელი სხვა პარტიული ლიტერატურა იბეჭდებოდა, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე ეს სტამბა 1906 გადატანილ იქნა პეტერბურგში და იქიდან კი ფინეთში, სადაც ის განაგრძობდა მუშაობას ცეკას ხელმძღვანელობით. სტამბა არსებობდა ტფილისშიც, რომელიც ჟანდარმერიამ აღმოაჩინა 1906 წელში.

1905 წელში სტამბა მოწყობილ იქნა განჯაში და შემდეგ ლანჩხუთში, რომლის მუშაობას ძალიან უშლიდენ ხელს მენშევიკები. საზოგადოთ არალეგალური გამომცემლობა უმთავრესად ბოლშევიკებს ეკუთვნოდა თავიდანვე, არალეგალურ პრესაში კი მენშევიკები იყვენ ძლიერი.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ლეგალური ბოლშევიკური პრესა გაძლიერდა; ტფილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა „Кавказский рабочий“, გამოდიოდა ჟურნალ-გაზეთები, აგრეთვე ადგილობრივ ენებზე. 1918 წელს ისევ საჭირო გახდა არალეგალური გამომცემლობა, რისთვისაც 1919 წ. მიწურულში ამხ. ს. თოდრიას მიერ პარტიისთვის მოწყობილ იქნა არალეგალური სტამბა.

ამხ მახარაძის მოხსენების შემდეგ კრებაზე ამხ. ავენირმა გააკეთა მოხსენება მუშკორთა კლუბის შესახებ, რის გარშემოც გაიმართა კამათი. კრებამ გამოიტანა დადგენილება კლუბის მუშაობის დაწყების შესახებ ერთი კვირის განმავლობაში.

მოწოდება

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა მიმართ

ამხანაგებო! ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების ტფილისის განყოფილების საბჭომ დაადგინა გამოსცეს ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება: მემუარები, დღიურები, ბიოგრაფიული და ავტობიოგრაფიული ცნობები, ლექსები და ის წერილები, დაწერილი ციხეში და ციხის გარეთ მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის დროს, რომელნიც ეხებიან პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა ცხოვრებას.

ამხანაგებო! საზოგადოების საბჭო გაუწყებთ რა ამას, მოგაგონებთ თქვენ წმინდა მოვალეობას, როგორც წევრთა ამ საზოგადოებისა, რათა შეუწყოთ ხელი თქვენი ჟურნალის არსებობას და მიაწოდოთ მას საჭირო მასალა.

ჩვენ ერთით წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ჩვენ მიერ მოწოდებულ მასალას ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება რევოლიუციის ისტორიისათვის.

ჩვენ განა იმისთვის არ ვეწამეთ, რომ ტანჯვით და ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება შთამომავლობამ დაიცვას და შეინარჩუნოს?

სწორეთ ჩვენი ტანჯვის სურათი შთაბერავს მათ ენერგიას, რათა თავი დადოს მოპოვებულ თავისუფლებისთვის. ამხანაგებო! დააჩქარეთ მასალის მოწოდება.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა საზოგადოებისათვის ტრადიციულ დღეს, ა. | წ. 12 მარტს.

პოლიტ. კატორღ. და გადასახლ. საზოგადოების საბჭო.

ქრონიკა

— **მთლიანი სასოფ.-სამეურნეო გადასახადი საქართველოში.** მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან საქართველოში 10 იანვრისათვის შემოსულია—124,541 ფ. ხორბალი, 62,289 ფუთი ქერი და 194 ფ. სიმინდი. ფულად—6 ტრილიონი, 138 მილიარდი, 342 მილიონი და 410 ათასი მანეთი.

— **მოწმობები უფასოდ წყლის სარგებლობისათვის.** მოწმობების გაცემა უფასოდ წყლით სარგებლობისათვის სწარმოებს შრომის ბირჟის დამზღვევთა განყოფილებაში.

— **5 286 ფ ღვინო გლეხკომების ფონდში.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით: ქუთაისის მაზრაში გლეხობამ შეაგროვა და გლეხთა კომიტეტების ფონდში შეიტანა 5,286 ფ ღვინო.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ამიერ-კავკასიაში.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან დღემდე ამიერ-კავკასიის ფარგლებში სულ შემოსულია: 964,589 ფ. ხორბალი, 974,030 ფ ქერი, 23,166 ფ სიმინდი და ფულად: 16 ტრილიონი, 211 მილიარდი, 286 მილიონი და 546,807 მანეთი.

— **სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადის გაგრძელება.** ა. | კავ. ფინანსთა კომისარიატის დადგენილებით მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვადა, აღმოსავლეთ საქართველოს (გორის მაზრა) და სამხრეთ ოსეთისთვის, გაგრძელებულია 1924 წლის პირველ თებერვლამდე.

— **არხების გაყვანა** საქართველოს არხების „ივანი-ტაბანიორა“, „მაშავერა“, „ულივილკა“-ს გაყვანა და ძველი არხების (სამტრედიის და აჯამეთის) შეკეთება, რომელნიც დაწყებული იყო 1923 წელს დამთავრებული იქნება 1924 წელს.

— **პურის მოსავლის ზარალი საქართველოში.** პურის მოსავლის (ხორბლეულობის) ზარალი 1923 წელს უდრის 4340 ფუთ ხორბლამდე.

— **სამკურნალო დახმარება.** დამზ. კასის სამკურნალო ქვე განყოფილებამ დეკემბრის განმავლობაში სამკურნალო დახმარების გასაწევათ დახარჯა 651 მილიარდი, 455 მილიონი და 193.000 მან.

— **ამხ. კამოს სავადმყოფო** 1 დეკემბრისათვის ამხ. კამოს სავადმყოფოში ირიცხებოდა 93 ავადმყოფი, ახლად ჩაეწერა—75, გამოეწერა 88, გარდაიცვალა 7 ავადმყოფი.

— **დახმარება სახლში მწოლიარე დაზღ. ავადმყოფთა დახმარება.** სამკურნალო ქვე განყოფილება დეკემბრის განმავლობაში დახმარება გაუწია 10,303 დაზღვეულ სახლში მწოლიარე ავადმყოფებს.

— **საქართველოს მევენახე-მეღვინეთა თათბირი.** დღეს, 15 იანვარს მიწათმოქმედების კომისარიატის შენობაში შესდგება სრ. საქართველოს მევენახე-მეღვინეთა თათბირი.

— **პენსიები და დახმარება.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ქუთაისის განყოფილებამ 1923 წლის 12 იანვრიდან 1924 წ 4 იანვრამდე ქუთაისის მაზრაში დაურიგა პენსიები და ერთდროული დახმარება შრომის დაავის ინვალიდებს 18 მილიარდი, 414 მილიონი და 840 ათასი მან.

— **შრომის ბირჟა.** 12 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—7, ახლად ჩაეწერა—77, სამუშაოზე გაიგზავნა—43. მოთხოვნილება იყო—22.

— **ფაბრიკა-ქარხნების შეგირდთა სკოლა.** ქ. კომუნალურ განყოფილებასთან ახლო ხანში გაიხსნება ფაბრიკა-ქარხნების შეგირდთა სკოლა შემდეგი განყოფილებებით: 1) საზეინკლო, ჩარხავი და სამჭედლო, 2) ელექტრო-მექანიკური, და 3) სადურგლო.

— **მანგლისის აგარაკები.** ქ. აღმასკომმა დაადგინა შუამდგომლობით მიმართოს საქ. სახ. კომისართა საბჭოს, რათა ჯანმრთელობის კომისარიატის გამგებლობაში მყოფი მანგლისის აგარაკები გადაეცეს სრულებით ქალაქის აღმასკომს.

— **საექიმო პუნქტი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით სოფ. ხატის-თელეთის საფერშლო პუნქტი გადაკეთებული იქნა საექიმო პუნქტათ.

შემთხვევები.

— **ძარცვა.** 10 იანვარს ღამის 11 საათზე კოჯრიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავალ მედროგეს მოქ. [illegible] დაესხნენ სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და წაართვეს [illegible] კოოპერატივის კუთვნილი საქონელი: 2 ფ. შაქარი, 2 ფ. საპონი და ნახევარი ფ. თუთუნი და 5 ყუთი პაპიროსის ქაღალდი. მიღებულია ზომები ყაჩაღების შესაპყრობათ.

— **ქურდობა.** 11 იანვარს საღამოს 7 საათზე, ტროცკის ქ. № 7, გაქურდულ იქნა მოქ. ივანე [illegible] ბინა, საიდანაც წაღებულია 30 ჩერვონეცის ნივთები.

— **დაჭრა.** 11 იანვარს, ღამის 12 საათზე სახალხო სახლის წინ (კირკის ქ.) მოქ. დავით ჯგინცაძემ დანით დასჭრა მოქ. ვლადიმერ წერეთელი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდობა** 10 იანვარს, ა | კ. საგანგებო კომისიის დამამზადებელ განყოფილების საწყობიდან მოპარული იქნა სასწორი და სხვადასხვა ნივთები. ეჭვით დაპატიმრეს დარაჯი გეურქვი.

— **ღორის ფეხის ქურდი.** 10 იანვარს შეიპყრეს მოქ. ალი ბაირამ ოღლი, რომელმაც მუშათა კოოპერატივიდან მოიპარა დაშაშხული ღორის უკანა ფეხი.

— **შეპყრობა.** 10 იანვარს შეიპყრეს არამ კარაპეტიანცი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. შმაღონ სარქისიანცის ბინის გაქურდვა.

ხელოვნება

ხელოვანთა სასახლეში

13 იანვარს ხელოვანთა სასახლეში მოხსენება გააკეთა მოსე გოგიბერიძემ მოხსენება წმინდა ფილოსოფიურ საკითხს ეხებოდა „შემეცნების შესაძლებელ კრიტიკა“-ს. როგორც თვით მომხსენებელმა აღნიშნა თავის შესავალ სიტყვაში, მოხსენება წარმოადგენდა არა მარტო ნაშრომს არამედ ნაზრევსაც.

მოხსენება ორ ნაწილისაგან შესდგებოდა.

პირველ ნაწილში მომხსენებელი იბრძოდა იდეალისტურ მიმდინარეობას ფილოსოფიაში.

მომხსენებელმა მკაფიოდ და ნათლად დაასურათა, თუ ისტორიულად როგორ ჩაისახა და განვითარდა იდეალიზმი.

ამ ისტორიულ ექსკურსიაში გადაიშალა ჩვენს თვალწინ საკმაო ისტორიულ-ფილოსოფიური მომზადება მომხსენებლის.

მეორე ნაწილი კი მომხსენებლის შეხედულებათა დებულებებს შეიცავდა. ის ცდილობდა იდეალიზმის დანგრევით რეალიზმის არსებითი სახე აღადგინა.

პრიმატი არსის აზრზე, არსის მიერ კარნახი აზრისადმი,—აი საფუძვლები მისი მოხსენების დადებითი ნაწილის, წინააღმდეგ იდეალიზმისა, რომელიც პრიმატს აზრს აძლევს და ობიექტიურ სინამდვილის გვერდს უხვევს.

მომხსენებელმა თავის შეხედულების მხოლოდ თეზისები წარმოგვიდგინა ეს გასაკვირიც არ არის, რადგან ეს მოხსენება მხოლოდ შესავალი იყო იმ წიგნიდგან, რომელსაც გოგიბერიძე ჰპირდება საზოგადოებას, სადაც ალბად დასაბუთებული იქნება, ასე ვსთქვათ, მისი ნაზრევის დოგმატიური ნაწილი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. შ. ნუცუბიძე. კამათში რამდენიმე პირმა მიიღო მონაწილეობა, როგორც შეკითხების სახით, აგრეთვე არსებითად. შეკითხვებსა და შენიშვნებს მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

დამსწრე.

— **ახალი მწერლობის გამოცემა.** სახ. გამომცემლობამ შეადგინა სია იმ ახალ მწერლების (90 წ. წლებიდან), რომლების გამოცემა განზრახული აქვს გამომცემლობას მიმდინარე წელს.

— **შოლა ლომთათიძის „პირველი მაისი“ ეკრანზე.** იწერება სცენარი შ. ლომთათიძის მოთხრობის „პირველი მაისის“ ლენტზედ გადასაღებად.

პროვინციაში

კაჭრეთის თემი (გარე-კახეთი)

ამ ბოლო დროს აქ ერთი-მეორეს შეეტაკნენ ორი სხვადასხვა დარგის მეურნეობა,—მესაქონლეობა და ხვნათესვა.

მესაქონლეობის აღორძინებას ხელს უშლის სოფლის ზოგიერთი მხვნელ-მთესველის სახნავ მიწის მხრივ გაუმაძღრობა, ვინაიდან თვითნებობით ხნავენ ისეთ საძოვარ მინდვრებს, რომელიც მუდამ მესაქონლეთათვის იყო საძოვრად მიჩნეული და ურომლისოდ მესაქონლეობა—ეს ჩვენი მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი უნდა განადგურდეს. ეს პირები ამ ადგილების მოხვნით ავიწროებენ მესაქონლეობას საძოვრების მხრივ,

მუშათა ცხოვრება

ქ. აღმასკომის ქალთა განყოფილების ზეიმი და კომუნისტური ნათვლა

ქ. ტფ. აღმასკომის ქალთა-განყოფილებამ ამხ. გოლუბიევას ხელმძღვანელობით შემოიკრიბა ამ დაწესებულების ყველა განყოფილების ქალები და ეწევა მათთან კულტურულ მუშაობას.

13 იანვარს ა. წ. მოხდა ქალთა-განყოფილებისთვის წიგნ-საცავ სამკითხველოს გახსნა და კომუნისტური ნათვლა, რასაც ჰქონდა აღმასკომის ქალთა განყოფილებას საზეიმო ხასიათი.

ზეიმს დაესწრო დიდძალი საზოგადოება, კრება გახსნა ამხ. გოლუბიევამ, რომელმაც აღნიშნა სამკითხველოს გახსნის დიდი მნიშვნელობა აღმასკომის ქალთა-განყოფილებისთვის.

სამკითხველოს უწოდეს „ამხ. სონია დოლნაიას სამკითხველო". ამ დიადი ნაბიჯის გადადგმა ქალთა-განყოფილებას მოულოცეს მხურვალე სიტყვებით: საქ. კომ. პარ. და ტფ. ქალ განყ. სახელით ამხ. თ. ადამიძემ, ქალ. აღმასკომის კომუჯრედის სახელით ამხ. მინასიანმა, ქალ. აღმასკომის სახელით ამხ. ლადო სუხიშვილმა, ახ. კომ. კავშირის სახელით ამხ. მიქელაძემ და სხვ.

შემდეგ მოხდა კომუნისტური ნათვლა. მოსანათლავი იყო ორი ბავშვი. „უქსი"-ს თანამშრომლის ამხ. ახვლედიანის და მსახიობ გორსკის. მშობლების თანხმობით პირველის ბავშვს უწოდეს ნინელი (ლენინი) და მეორეს ბავშვს—მარკსანა (მარკსი კარლ.) ახვლედიანის ბავშვის წითელი ნათლობა მიიღო აღმასკ. თავმჯ. ამხ. ლ. სუხიშვილმა და გორსკის ბავშვის ნათლობა—ვ. მესხმა.

საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

მუშკორი ა. განიძე.

შრომის სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ.

საქონლის მანეთის კურსი ცხადდება ყოველ მიმდინარე თვეში ოთხჯერ 1, 8, 15 და 23-ში. მაგრამ ჯამაგირების დარიგება ხდება ამ რიცხვებს შუა, როდესაც საქონელზე ფასი საკმაოდ მომატებულია; ამის გამოც გვიხდება მუშა-მოსამსახურეთ შრომის ღირებულებათა საფასურის ნაკლებად მიღება.

კარგი იქნებოდა, რომ ამას შრომის სახალხო კომისარიატი მიაქცევდეს სათანადო ყურადღებას და როგორც სხვა საჭირბოროტო საკითხები გადაუჭრია მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ, ამასაც მოაგვარებდეს შრომის რეალურ ხელფასის უზრუნველსაყოფად.

ჩემის აზრით კი აქ ერთი გამოსავალი არის—შრომის სახალხო კომისარიატის მიერ განკარგულების გამოცემა, რომ საქონლის მანეთის კურსის გამოცხადების დროს ხდებოდეს მის ჩერვონულ მანეთებთან შედარება, რაც საშუალებას მოგვცემს მეორედ საქონლის მანეთი კურსის გამოცხადებამდე ჩერვონული მანეთების კურსით მივიღოთ ჯამაგირები დაუკლებლად.

ა. ხვანიძე.

რას მიეწერება.

როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენება გასულ წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში არჩეულ იქნა მუშათა ცენტრალურ კლუბის ახალი გამგეობა. აგერ თვეზე მეტია, რაც ახალი გამგეობის წევრნი ერთმანეთს ჯერ არც კი შეხვედრილან; არ ყოფილა გამგეობის მორიგი სხდომები; მუშაობა კი კლუბში მიმდინარეობს ძველი ტემპით, კლუბის კულტურული მუშაობა მინელდა, იდგმევა მხოლოდ შემთხვევითი წარმოდგენები რუსულ, უკრაინულ ენებზე, ისიც ისეთი პიესები, რომელნიც სრულებით არ შეეფერებიან კლუბის აუდიტორიას. კლუბთან არსებობდა ორი სტუდია—წრე: აღმოსავლეთ საკრავების და სახალხო საკრავებისა. ამათი მუშაობაც მიყუჩდა, აღარ იმართება თვითმოქმედების საღამოები; მსმენელები არ დაიარებიან სამეცადინოდ; რაღაც გულგრილობა ეტყობა მათ ხელმძღვანელებსაც. ერთად ერთი პროფტეხნიკური კურსები მელითონეებისა, რომელიც მოწყობილია კლუბთან იღებს ნაყოფს. მათ კარგი ხელმძღვანელი ჰყავს და მუშა-მსმენელები იჩენენ უნარს სწავლაში.

ჩვენ საჭიროდ ვსთვლით, კლუბთან მოეწყოს პროფ მოძრაობის და პოლიტგანათლების კურსები, მუსიკალურ დრამატიული წრეები თვით მუშებისაგან, მოეწყოს აგრეთვე ხმა მაღალი კითხვა, თვითმოქმედების საღამოები და სხვა სადი—გასართობი ხასიათის წარმოდგენები. კლუბის სამკითხველოს ხელის მომწერნი შემოაკლდა და ეს იმით აიხსნება, რომ მკითხველებს არ აქვთ საშუალება გადაიხადონ საწინდარი იმ რაოდენობით, რომელიც მიიღო კლუბის წევრთა საზოგადო კრებამ. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ამასთანავე უნდა აღვნიშნო კლუბის გამგეობის წევრთა გულგრილობა, რამდენადაც ვიცი, სხდომები არ იმართება და კლუბის მუშაობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. თუ ეს ე გაგრძელდა,—კლუბში კულტურული მუშაობა მინელდება, და მუშებს უკვე ველარ შევაყვარებთ მათ სულიერ საზრდო კერას. ჩვენ გვინდა, რომ მუშათა კლუბმა ანგარიში გაუწიოს მას და ამოქმედდეს ის, როგორც ჯერ არს.

მუშა—წევრი.

ჩვენი აბანოების მდგომარეობა

ჩვენი,—ქალაქის კომუნალური აბანოების მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. 1923 წლის განმავლობაში, ერთი თუ ორი აბანოს გარდა, ყველა შეკეთებულ იქნა კაპიტალურად დამაკმაყოფილებელი გახდა თვით წარმოების ნაყოფიერება, მისი შემოსავალიც. აბანოების ამ მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში ხელიხელ ჩაკიდებულად მოქმედებდენ აქაური ადგილკომი და აბანოების გამგე ქალაქის აღმასკომის ღონისძიებათა საშუალებით. ამ ბოლო ხანებში ადგილკომმა შესძლო აბანოების ყველა მოლარეებისათვის ჯამაგირების მომატება, თითოზე ორ ორი საქონლის მანეთი, იგივე ადგილკომი ცდილობს აგრეთვე გააუმჯობესოს სხვა მუშათა (აბანოების) ნივთიერი მდგომარეობაც ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად მუშაობს აქაური შემთანხმებელ საკონფლიქტო კომისია, ხოლო საჭიროა მისი დადგენილებები ცხოვრებაში ტარდებოდეს.

მუშკორი მ. ა.

მუშათა წერილებიდან.

მუშის შრომის ხელფასი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

გაზეთებში ბევრი იწერება შრომის ხელფასის უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მხრივ საქმით სულ ცოტა კეთდება. ჯერ ერთი ჯამაგირების გაცემა იგვიანებს რამოდენიმე დღით, რაც გამანადგურებლად მოქმედობს შრომის ხელფასის რაოდენობაზე; მაგრამ ამას კიდევ შეურიგდებით, რომ გაცემული ჯამაგირები ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ახალი ინდექსის გამოცხადების შემდეგ ჩერვონეცი ყოველდღე 45—60 მილიონამდე იწევს. ამავე დროს ჩვენთვის გაცემული „ბონების" რაოდენობა ყოველ დღე იკლებს 45—60 მილიონ მანეთამდე. ასე რომ ჯამაგირების გაცემის 4—5 დღეს—შრომის ხილფასი უკვე არაფერს ნიშნავს. მით უკვე თითქმის ვერაფერს ვყიდი.

ეს მოვლენა სრულებით არანორმალურია და ჩვენი მუშების ისედაც მცირე ბიუჯეტის გამანადგურებელი.

ამიტომ მუშებს ნაწილი ხელფასისა აუცილებლად უნდა მიეცეთ ჩერვონეცით

მუშა—მაძე.

ჩვენ ქარხანაში სრული სოლიდარობაა.

ამხ. როზა ლიუქსენბურგის სახელობის ქარხანაში ვმუშაობთ 350 მუშა,—ქალი და კაცი. განწყობილება მუშებსა და მუშა-ქალებს შორის საუცხოვოა. აქ სუფევს სწორედ სრული თანასწორება ორივე სქესისა და მასთან ერთი მეორის პატივი და რიდი.

ადმინისტრაციაც ჩვენია, მუშური და ამიტომ ჩვენ და მის შორის არავითარი უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს. ჩვენც მუშები, შეძლებისდაგვარად ვისახურებით საერთო საქმეს პირნათლად და წარმოება მიგვყავს წინ.

გაუმარჯოს, ჩვენი მუშების სოლიდარულ მუშაობა!

გაუმარჯოს წითელ დირექტორებს!

მუშა ჟუნგიაძე.

რატომ ლექტორი არ გამოცხადდა?!

ა. | წ. 5 იანვარს შრომის ბირჟის და დამზღვევ კასის შენობაში ადგილკომის ინიციატივით გაიმართა ლიტერატურულ მუსიკალური საღამო. საღამოს დაესწრო თითქმის ყველა თანამშრომლები თავიანთ ოჯახის წევრებითურთ. საღამო კარგად ჩატარდა. იყო მომღერალთა გუნდი პროფკავშირთა საბჭოს, რომელმაც შესანიშნავათ შეასრულა სხვადასხვა სიმღერები მოქ. კალანდაძის ლოტბარობით. წაკითხულ იქნა სხვადასხვა ლექსები ტუსიევის და კ. ჩაჩავას მიერ. სამწუხაროდ დაგვრჩა ერთი რამ ამ საღამოსი. ადგილკომს ყავდა მოწვეული ტფილისის კომიტეტიდან მომხსენებელი შემდეგ თემაზე: „ცეცხლითა და მახვილით" (ანტირელიგიური) ბევრი უცადეთ ბევრი ტელეფონით ურეკეთ, მაგრამ ლექტორი მაინც არ მოვიდა, რის გამო ამხანაგები ძალიან ნაწყენი დარჩენ. ეს არანორმალური მოვლენაა, რაიც არ უნდა განმეორდეს შემდეგში. იმედია, მიექცევა ამას ყურადღება.

ინფ. დაკი.

არ აძლევენ ფარას წყლისაკენ გზას და იძულებულს გახდიან მწყემსებს ამ ერთი გზის გავლისათვის იხადონ გადასახადები. ამას გარდა, რაკი საძოვრის გვერდშივე მოხნავენ ალაგ-ალაგ, ხშირად ტყუილ უბრალოდაც მოსდებენ შარს მწყემსებს—ესაა და თქვენი საქონელი გადმოვიდა ყანაში, ჯეჯილი გამიფუჭაო, რის გამოც მიდიან საჩივლელად ძალაუფლებასთან, ან ჩხუბობენ და ხშირად ერთიმეორეს უმასპინძლდებიან ტყვიითაც. მაგ., ამ ერთი თვენახევრის წინეთ ამ რაიონში ჰქონდა ადგილი შემდეგი უბედურ შემთხვევას: ვიღაც შიბლიანელმა მეცხვარე მაზნაშვილს, იმისათვის, რომ მის ყანაში ცხვარი გადავიდა, დაუწყო ცხვრის ფარის ერთიანად წართმევა. მაზანაშვილმა სთხოვა არ ჩაედინა ეს, და, თუმცა ყანას არავითარი ზარალი არ ჰქონდა მიყენებული, მაინც ნებაყოფლობით წაუყვანა ორი ბედილა. შიბლიანელი არ დასთანხმდა ამაზე და განაგრძნო ფარის თავის სოფლისაკენ გარეკვა, რის გამოც მაზანაშვილმა დაახალა თოფი და იქვე მოკლა შიბლიანელი.

თვითნებობით ხნავენ საძოვარ ადგილებს სწორედ იმ დროს, როცა ცხვრები საზაფხულო მთებზეა გარეკილი და მინდორზე არავინ არაა, ბრუნდებიან თუ არა შემოდგომაზე მეცხვარეები, ხედავენ, რომ მათი საძოვრები გადახნულია. გასაჩივრების დროს თემის ხელისუფლება ამბობს: მართალია, საძოვრად მიჩნეული ადგილები მოხნულია უნებართვოდ, მაგრამ ეხლა არ შეგვიძლია ჯეჯილი საქონელს მოვაძოვინოთო. მოხნულია მხოლოდ მთელი იორის პირი. ბრმაც კი შეამჩნევს, რომ ეს ადგილები სრულიად გამოფიტულია და სამოსავლოდ შაურის ფასიც რომ არა აქვს. მაგრამ ამას სჩადიან ისეთი პირები, რომლებიც მესაქონლეობას არ მისდევენ და უნდათ ერთი დღის „სხვათაშორის" ნამუშევრით გაიკეთონ შემოსავალი მეცხვარეობისაგან სხვადასხვა ოინებით.

მიწათმოქმედების კომისარიატის საძოვარ განყოფილებას გასული წლის აპრილ-მაისში აქ ყავდა გამოგზავნილი ერთი მიწის-მზომელი, მას უნდა გამოეყო მიჯნის ქვეშ საძოვრები ცალკე და მიეჩინა სოფლებისათვის. მაგრამ ეხლა, როგორც ირკვევა, მიწის მზომელმა ეს დავალება ვერ შეასრულა სასახელოდ. აღნიშნა მხოლოდ თავის გეგმა „ბლოკნოტზე" და მისი ჩამოსვლა არც კი გაუგია სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას. ზოგიერთი სოფელი ამ გეგმაშიაც არ შეუტანია.

მეცხვარეებსა და მხვნელ-მთესველთა შორის ამ საძოვრების ნიადაგზე გამოწვეულ დაუსრულებელ დავა-აყალ-მაყალის გამო, იანვრის პირველს აქ გამოცხადნენ ამხანაგობა „მწყემსი"-ს გამგეობის წევრი ამხ. სევერიანე კუხალაშვილი და მიწათმოქმედების კომისარიატის საძოვართა განყოფილების რევიზორი ილია რომანიშვილი, რომლებმაც დაათვალიერეს მთელი ეს სადაო მინდვრები და, როგორც ვფიქრობთ, დარწმუნდენ კიდეც მესაქონლეობის ძალზე შევიწროებაში.

შემდეგ ისინი გაემგზავრნენ სიღნაღში საადგილ-მამულო განყოფილებასთან მოსალაპარაკებლად და რაიონის აღმასკომისადმი სათანადო განკარგულების მისაცემად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, სანამ არ შესდგება ამ რაიონში მიწის მომწყობი კომისია და არ მიუჩენს თითეულ სოფელს სახნავს და საძოვარს, ცალ-ცალკე საზღვრის ჩვენებით, აქ მუდამ ექნება გაუგებრობას ადგილი. საზღვრები სახნავი და საძოვართა შორის უნდა იქნეს დაცული სასტიკად. იმ ორგანოებისაგან რომელზედაც ეს დამოკიდებულია, ჩვენ მოველით მიწის მოწყობის საქმის სიჩქარით მოგვარებას ამ რაიონში.

უშაფათელი.

ხოფ. პრიუტი

სოფელ პრიუტი მდებარეობს ტფილისიდან 35—40 ვერსის მანძილზე, მანგლისის რაიონში. აქ სცხოვრობენ განსაკუთრებით რუსები. არსებობს კლუბი, აღმასკომი და ერთი რუსული სასწავლებელი, ამას გარდა ერთი თვის წინად აქ გაიხსნა ქართული სასწავლებელი სოფ ზირბითის მცხოვრებთათვის. აქ მოწაფეები განსაკუთრებით მთიელები არიან. მათ ეტყობათ დიდი სწავლის სურვილი. დღემდე აქ ქართული სკოლა არ არსებობდა, რაც დიდათ აბრკოლებდა აქაურ ხალხში სწავლა-განათლების საქმეს. დღეიდან კი მოსალოდნელია, რომ ეს სკოლა მიაწოდებს მთის ჯანსაღ ახალგაზრდობას სულიერ საზრდოს. აქვე არსებობს ახლად გახსნილი წიგნსაცავ-სამკითხველო. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი ამ სოფლის კულტურულად აღორძინებაში მიუძღვის ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს, ამხ. ბორისოვს. ამხანაგი ბორისოვი დაუღალავად და თავგანწირულად იბრძვის ყოველივე საწინაო საქმისათვის. მან დააარსა აქ კლუბი; მისი დახმარებითვე გაიხსნა უმთავრესად ქართული სასწავლებელი.

არსებობს აქ აგრეთვე რუსული დრამატიული წრე და თითქმის ყოველ კვირაში იმართება წარმოდგენები. აქვე სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობა ლიკვიდაცია, რამაც დიდათ წასწია წინ სწავლისა და საერთო განვითარების საქმე. იმედია, რომ ასეთი მუშაობა გააძლიერებს შეგნებულ ძალებს და, ლენინისა არ იყოს, ათი წლის თავზე არავინ არ იქნება უსწავლელი...

მასწ. შალვა დორთქიფანიძე.

მარნის თემი (სენაკის მაზრა)

როგორც სხვაგანაც მარნის თემის მცხოვრებლებიც სიხარულით შეეგებენ ანტირელიგიურ პროპაგანდას. ყველა ეკლესიები გადაკეთდა სახალხო სახლებად, სადაც ხშირად იმართება საღამოები ადგილობრივი თემის დრამატიული დასის მიერ, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია. 7 იანვარს თემის სახალხო სახლში გაიმართა საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. უნდა აღინიშნოს, რომ საღამო ვერ ჩატარდა სასურველად. პიესა იყო სამ მოქმედებიანი და გაუშვეს მხოლოდ ერთი მოქმედება. მიზეზი ამისა ის იყო, რომ საღამოს გამგემ ნება დართო სახალხო სახლში მაგარი სასმელებით ბუფეტის მოწყობის. მოქეიფე „ტარიელ ვაჟბატონები" გაილეშენ ღვინით და მორთეს ერთი სიმღერა და ყიჟინი იმ დროს, როდესაც სცენაზე მიდიოდა პიესა. ერთ და იმავე დროს როგორც ქეიფი, აგრეთვე პიესით მსვლელობა ყოვლად შეუძლებელი იყო. ასეთი ქეიფი ამ სახალხო სახლში პირველი არ არის. ამ მოვლენაში დანაშაული მიუძღვის არა მარტო ამ ვაჟბატონებს, არამედ საღამოს გამგესაც. სწორედ იმ დროს ადმინისტრაციამ წინადადება მისცა ამ „განებივრებულ ხალხს" და ცოტა სროლის შემდეგ იქნენ დაწყნარებული. მის შემდეგ პიესის დამთავრებაც შეუძლებელი იყო და ხალხი უკვე შიშით დაშლილიყო. ასე სამარცხვინოდ ჩატარდა „კარგი გამგის" და ამ „ტარიელ-ვაჟბატონების" მეოხებით ეს საღამო. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ასეთ მოვლენებს და სასტიკად დასაჯოს წესრიგის დამრღვევნი.

მ. გაუწყინარელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის დეკემბრის 24.

სამაზრო საფინანსო განყოფილებათა დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სამაზრო საფინანსო განყოფილებათა მოქმედების მოწესრიგებისათვის ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომოყვანილი დებულება სამაზრო საფინანსო განყოფილებათა შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების გამოქვეყნებისთანავე გაუქმებულ იქნეს ამ საგანზე ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში წინად გამოცემული ყველა დადგენილება და ინსტრუქცია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ხ. ლეკაშვილი.**

დებულება სამაზრო საფინანსო განყოფილებათა შესახებ.

მუხ. 1. საფინანსო საქმის მართვა-გამგეობისათვის მაზრის ფარგლებში, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სამაზრო საფინანსო განყოფილებანი.

მუხ. 2. სამაზრო საფინანსო განყოფილების მოვალეობას შეადგენს: ა) ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თავის დროზე გამოანგარიშებისათვის ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღების წესიერად შემოსვლისათვის და აგრეთვე სათანადო ღონისძიებათა ხმარება ნარჩენის გადახდევინებისათვის: ბ) საშენაწერო ანგარიშწარმოება გადასახადთა და გამოსაღებთა საქმეში; გ) დამზადება და გატარება აღრიცხვისა საალრიცხვო ბიუჯეტში; დ) აღნუსხვა სახელმწიფო და ადგილობრივი შემოსავლის მიღებისა მაზრაში და წარდგენა საანგარიშო ცნობებისა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისათვის; ე) წარმოება საკასო ოპერაციებისა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის სფეროში და აგრეთვე ადგილობრივ საშუალებათა და დეპოზიტთა საქმეში, წარმოება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ნებადართული საბანკო ოპერაციებისა; ვ) გაყიდვა საღერბო და სხვა გამოსაღების გასტუმრების ნიშნებისა; ზ) განხორციელება ყველა სხვა ფინანსიური დავალებისა.

შენიშვნა 1. ცხინვალში (სამხრეთ ოსეთი) საფინანსო განყოფილების ფუნქციებს შეასრულებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში) რწმუნებულის სამმართველო სამხრეთ ოსეთში. აჭარისტანისა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების მაზრებში, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მაზრებში და ნახჩევანის მხარეში სამაზრო საფინანსო განყოფილებათა ნაცვლად—მოეწყობა, საჭიროების დამიხედვით, მიწერილი კასები; თვითეული ამგვარი კასა იქნება ორგანო ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულის სამმართველოსი.

2, ტფილისში, ბაქოში და ერევანში მოეწყობა სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების სამაზრო-საქალაქო საფინანსო განყოფილებანი, რომელნიც იმოქმედებენ სამაზრო საფინანსო განყოფილებათა საერთო საფუძველზე. არსებობა ცალკე საქალაქო და სარაიონო საფინანსო განყოფილებისა—აკრძალულია. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვით,—თვითეულ შემთხვევაში ცალკე,—მოეწყობა მიწერილი კასები—ცალკე რაიონებისათვის.

3 სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადის შეწერის გამო აღძრული საჩივრის განსახილველად სამაზრო საფინანსო განყოფილებასთან არსებობს სამაზრო საგადასახადო კომისია. აღნიშნულ კომისიაში შედიან: თავმჯდომარედ—სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე და წევრებად—ფინანსთა ინსპექტორი, როგორც აუცილებელი წევრი, და თითო წარმომადგენელი სამაზრო პროფესიონალური ბიუროსი და გადამხდელებისა (უკანასკნელი—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დანიშვნით)

ადგილობრივი გადასახადის შეწერის გამო აღძრული საჩივრის განხილვის დროს მიწვეულ უნდა იქნეს აგრეთვე კომუნალური მეურნეობის წარმომადგენელი.

მუხ. 3. სამაზრო საფინანსო განყოფილებას შეადგენს კანცელარია და ქვე-განყოფილებანი: ა) საგადასახადო და ბ) საანგარიშო საკასო.

მუხ. 4. საგადასახადო ქვე-განყოფილების გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) აღსრულება მაზრის ფარგლებში იმ დეკრეტებისა, დადგენილებათა, წესებისა და ინსტრუქციებისა, რაც შეეხება სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადით დაბეგვრას და აგრეთვე ადგილობრივი გადასახადითა და გამოსაღებით დაბეგვრას.

ბ) უშუალო განხორციელება ღონისძიებათა გადასახადისა და ნარჩენის აკრეფისათვის მაზრაში.

გ) ხელმძღვანელობა ფინანსთა ინსპექციის და არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექციის მოქმედებისათვის და აგრეთვე ხმარება სათანადო ღონისძიებისა, მაზრის მასშტაბით, ნარჩენის გადახდევინებისათვის.

დ) საქმის წარმოება გადამხდელთა მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი გამოსაღების შეწერის გამო აღძრული საჩივრების სფეროში და აგრეთვე საქმის წარმოება იმ თხოვნათა განხილვის სფეროში, რაც შეეხება ნარჩენის ვადის განაწილებისა და მოხსნისა და ზედმეტი შემოსული თანხების დაბრუნების შესახებ.

ე) შემუშავება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით შემოსავლები ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების პროექტებისა; დამზადება მასალისა საშემოსავლო აღრიცხვის შედგენისათვის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საგადასახადო ხასიათის შემოსავალს.

ვ) შესრულება საშენაწერო ანგარიშწარმოებისა ყველა გამოსაღებისათვის და აგრეთვე სტატისტიკური აღნუსხვა ყველა ადგილობრივი შემოსავლისა.

ზ) რეგისტრაცია აქციზდასადები საგნების დამზადებისა და შენახვის ადგილებისა და აგრეთვე ზედამხედველობა არაპირდაპირ გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფის წარმოების სისწორისათვის და ამ გადასახადთა და გამოსაღებთა აღნუსხვა მათი სახის მიხედვით.

ი) მიწოდება საღერბო ნიშნებისა იმ ადგილებისათვის, რომელნიც ამ ნიშნებს ჰყიდიან, აგრეთვე ანგარიშწარმოება და ანგარიშგება საღერბო ნიშნების საქმეში.

მუხ. 5. საანგარიშო საკასო ქვე-განყოფილებას მაზრის ფარგლებში ეკისრება:

ა) მეთვალყურეობა საღრიცხვო-საანგარიშო და საკასო საქმეში გამოცემული დეკრეტებისა, წესებისა და ინსტრუქციების აღსრულებისათვის.

ბ) წინასწარი განხილვა, სამაზრო მასშტაბით, ადგილობრივ საშუალებათა აღრიცხვებისა, აგრეთვე შედგენა ადგილობრივ საშუალებათა შემოსავალ-გასავლის საერთო-სამაზრო ნუსხისა.

გ) აღნუსხვა სამაზრო საფინანსო განყოფილების ანგარიშზე გახსნილი საღრიცხვო კრედიტებისა, გამგებლობა საგასავლო განაწილებისა და ცალკე განკარგულებათა და, აგრეთვე, როგორც ამ კრედიტების, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტების ასიგნობებად განაწილებისა;

დ) შედგენა ანგარიშებისა ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ე) შედგენა მაზრისათვის სააღნუსხვო ანგარიშგებისა და სააღნუსხვო ბალანსისა ნებადართული საბანკო ოპერაციების სფეროში.

ვ) აღნუსხვა, სამაზრო მაშტაბით, სახელმწიფო შემოსავლის მიღების ქვითართა ბლანკების, ასიგნობათა და საფასური ბლანკებისა, საბანკო ოპერაციების საქმეში; და აგრეთვე შეასრულებს შემდეგ საქმეს:

ა) მიღება სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა და ფულადი თანხებისა.

ბ) გაცემა თანხებისა სათანადო განმკარგულებელთა ასიგნობებით იმ კრედიტიდან, საშუალებათაგან და დეპოზიტებიდან, რაც მის ანგარიშზე ირიცხება;

გ) წარმოება ნებადართული საბანკო ოპერაციებისა;

დ) მიცემა პატენტებისა, გაყიდვა გამოსაღებთა და გადასახადთა გასტუმრების საღერბო და სხვა ნიშნებისა და აგრეთვე წარმოება სხვა საკასო ოპერაციებისა ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით.

მუხ 6. საერთო ხელმძღვანელობა სამაზრო საფინანსო განყოფილებათა მოქმედებისათვის—ეკისრება ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რწმუნებულთ რესპუბლიკებში.

მუხ. 7. სამაზრო საფინასო განყოფილების გამგეს დანიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო რესპუბლიკის რწმუნებულთან შეთანხმებით; რწმუნებულს ეძლევა უკუქცევის უფლა. სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგე შეიძლება გადაყენებულ იქნეს მხოლოდ აღმასრულებელი კომიტეტისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ურთიერთ შეთანხმებით.

მუხ. 8. სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ არის საგადასახადო ქვე-განყოფილების გამგე.

მუხ. 9. დანარჩენ თანამშრომელთა დანიშვნა, სხვა ადგილზე გადაყვანა და სამსახურიდან დათხოვნა—მოხდება ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მის რწმუნებულთა სამმართველოების შესახებ მომქმედ კანონთა და დებულებათა თანახმად.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი **ხ. ლეკაშვილი**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება 15 იანვარს, როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის დაღუპვიდან 5 წლის თავზე მუშათა კლუბებში მოხსენებების გასაკეთებლად იწვევს ამხ—ბს: ელიავას, გოგობერიძეს, რუბენს, ტაკოევს, მარია ორახელაშვილს, ვარძიელს, ერქომაიშვილს, ელისაბედაშვილს ა. ესსენს, ხანოიანს, ნოე ლექავას.

— ს. კ. პ. ტ. ო. ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის ბინაზე (ყოფილ საბჭოს დარბაზში) მოწვეულია **ქალაქის რაიკომის დელეგატთა კრება**, უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. საკითხი პარტიაში მიღების შესახებ.
2. საქართველოს საგანგებო კომისიის ანგარიში.
3. მთელი რიგი სხვა საკითხებისა.

სავალდებულოა ყველას დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი: ძმა ბესარიონი პეტრეს ძე და ძმა გრიგოლ ბესარიონის ძე ჭოლაძეები, დები ალექსანდრა მოქიასი, ეკატერინა ზუბენკოსი, მარიამ ხარებავასი და ლუბა ჭოლაძის ასული, სიძეები გრიშა ზუბენკო და არჩილ ხარებავა გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობართ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უძვირფასესი

კონსტანტინე (კოლია) ბესარიონის ძის ჭოლაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 15 იანვარს ვერის სასაფლაოზე, მიცვალებული გამოსვენდება რესპუბლიკის მთავარ (მიხაილოვის) საავადმყოფოდგან, ნაშუადღევის ორ საათზე

391—1—1

ამინდი ამიერ-კავკასიაში

13 იანვარი, დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 5 გრ., ბათომში... 6 გრად., სამტრედიაში... 6 გრად., ქუთაისში... 8 გრ, ქიათურაში... 2 გრ., მუხრანში... 2 გრ., ბორჯომში... 1 გრ., სურამში... 2 გრ., ტფილისში... 0 გრ., (სოხუმიდან, აჯამეთიდან, წიფიდან, მუკუზანიდან—ველისციხიდან, ერევნიდან და ბაქოდან ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: ქუთაისში მოწმენდილია: ქიათურაში—მცირე ღრუბლიანობა; ფოთში, სამტრედიაში, მუხრანში—მნიშვნელოვანი; დანარჩენ ადგილებში—უმნიშვნელო.

ქარის ქროლა: სამტრედიაში—ჩრდილოეთ აღმოსავლეთის, ძლიერი. ქუთაისში—აღმოსავლეთის, ნელი. ფოთში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ წყნარი.

ნალექი: ნელი წვიმა ტფილისში დილას და საღამოს.

[illegible] ნაპირებთან: ფოთში, და ბათომში სიწყნარეა. [illegible]

ამინდი საქართველოში.

ცვალებადი ღრუბლიანობა. აღმოსავლეთ-საქართველოში ჰყინავს. ალაგ ალაგ უმნიშვნელო ნალექი. ძლიერი ქარი მდინარე რიონის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასია

13 იანვარი, დილის 7 საათი.

ყაზბეგი. ტემპერატურა:—6 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 1 გრ., მოღრუბლულია, ქარი არ ქრის უმნიშვნელო ნალექი.

ტფილისი

14 იანვარი, დღის 1 საათი

ტემპერატურა: 5 გრ., ღრუბლიანობა—სრული, ქარი არ ქრის.

დაჩაგრული მეუღლე თამარა ანტონის ასული და შვილები: საშა, ვოლოდია და ნინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—დიდი ხნის ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა

გიორგი ელიზბარის ძე ჩიქოვანი

გასვენება ქ. ტფილისიდან ქ. ზუგდიდში დღეს 3 საათზე თავისი ბინიდან, ვერის დაღმართი—№ 19.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
აცხადებს კონკურსს

ლენინის ძეგლის ესკიზისას,

რომელიც უნდა იქმნეს დადგმული ამხ. ლენინის სახელობის მოედანზე ლენინის ქ. და მოსკოვის ქ. კუთხეში.

ჟიურის მიერ მიღებული ესკიზები მიიღებენ ჯილდოს:

1) ჯილდო 100 მანეთი ბაჯაღლო ოქროთი
2) 2 „ 80 „ „ „
3) 3 „ 50 „ „ „

ესკიზის წარმოდგენის უკანასკნელი დრო გაგრძელებულია ა. | წ. პირველ თებერვლამდე დღის 3 საათამდე.

ცნობების მიღება შეიძლება აღმასკომის პრეზიდიუმში.

4—2 ნის. № 841.

პრეზიდიუმი

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სასოფლო მეურნეობის და კოოპერატიულ ჟურნალ

„მიწის მუშა"-ზე

ჟურნალი გამოდის კვირაში ერთხელ და ღირს თვეში

20 კაპ. ჩერვ. ცალკე ნომერი 6 კაპ. ჩერვ.

კანტორის და რედაქციის მისამართი: ტფილისი რუსთაველის პრ. № 24 ტელ. 10 49

უფ 3—3

თამბაქოს ტრესტის

1-ლი სახელმწიფო სამუყაო (კარდონის,

ქარხანა „ინტერნაციონალი"

იღებს ყოველგვარ შეკვეთებს, ყოველნაირი მუყაოს (კარდონის) ნაკეთებზე, სახელდობრ კოლოფებზე: პაპიროსისა და თამბაქოსი, საკონდიტროსი; (მშვიდობიანობის დროის ნიმუშებით), არშიანი თეთრი ქაღალდით, წიგნიდან ამოწებებული, სანამცხვრეებისათვის (დასაკეცი, მანქანით შემუშავებული), საფთიაქო, საპარფიუმერიო, საგალანტერიო, საფეხსაცმელო და სხვა.

მუშაობა სრულდება წესიერათ, წმინდათ და კოხტად. შეკვეთები მიიღება ქარხნის კანტორაში.

კამოს ქ. (ყოფ. დიდიმთავრის) № 28 დილის 7 ნახ. საათიდან 4 საათამდე. ტელეფონი № 13-37. იქვე იძლევიან ყოველგვარ ცნობებს.

842—3—3

ადმინისტრაცია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი

ამით **გაუქმებულად აცხადებს**

პირადი და ა. | კ. ფედერაციის რკინისგზებზე უფასოთ სამგზავრებელ მოწმობებს, გაცემულს ყრილობის სრულიად საქართ. ცაკის წევრებზე 1922-23 წელს. ცაკი წინადადებას აძლევს ყველა ცაკის ყოფილ წევრთ დააბრუნონ უკან ცაკის ნიშნები.

—3—3

საქ. ცაკის მდივანი ხახაშვილი

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ღარიბებს უფასოთ.

25—10

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ სამმართველოს მახლობლად.

303—25—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

[illegible] მქონებს საჭიროებენ

სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ [illegible]

ნ[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20

(126 25 22)

იყიდება

გრაჩევის ქარხნის პრესსი მატყლის, ბამბის და სხვათა დასაწნეხავათ.

მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 22. მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი".

844—1—1

დაიკარგა ტფილისის შრომის ბირჟის დამზღვევი კასის ბარათი № 10435 ნიკოლოზ ისააკის ძე დოლონაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

390—1—1

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი და № 10341 ბირჟის დამზღვევის უმუშევრობის მოწმობა გაცემული გალაქტიონ კვირკველიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად

უფ.—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული სტეფანე გრიგოლის ძე კიკვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

უფ.—1—1

დაიკარგა მე გიორგი მიხეილის ძე გელაშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოცემული მოწმობა პირადობის და აგრეთვე სამხედრო კომისარიატის 6 წლის სარეგისტრაციო ფურცელი. ჩაითვალოს გაუქმებულად

392—1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მარია ევსევის ასულის კრუპანას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

393—1—1

[illegible] ქუჩა № 4